# სახალხო გაზეთი

№ 940 ხუთშაბათი, 11 ივლისი 1913 № 940

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ეულ სიტყვაზე სადამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა ,,შრომა''-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირს 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი იქვე, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება ,,სახალხო გაზეთი''-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, სადამოთი 5-დან 7-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სახაბლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული ,,სახალხო გაზეთი'' 190.

ტელეფონი №12-29

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა



**სახალხო გაზეთი**

**ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით**

პირველი მკათათვიდან წლის დამლევამდე, როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს **4 მ. 50 კ.**

**თვეში ღირს 75 კაპ.**

არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე.

**მისამართი:** Тифлисъ, „Сахалхо газети" Почт. ящ. 190.

---

**ახალი კლუბი**

დღეს, 11 ივლისს, ქართ. მსახიობთა არტისტებისაგან წარმოდგ. იქნება

**დედის ერთა,** კომედ. 1 მოქ. გურიასი. **მოფურჩხულია,** ვოდევ 1 მოქ.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: ვიქტორელი, ქილარჯიშვილი, ჯავახიშვილი, ბ-ნნი: გუნია, მგლობლიშვილი, შალიკაშვილი და სხვა.

**დასაწყ. სალ. 9 ს.** 1389

---



**პირველ-ხარისხოვანი**

**დიდი ცირკი**

**ძმ. ესიკოვსკების**

მიხეილის პროსპექტ., მუშტაიდის შესავალთან, ნ. კუნდუზოვის ადგილზე, საკუთარი საზაფხულო გრილი სადგომი, ტრამვაი იქვე ჩერდება და შინ დაბრუნებისასაც მუშაობს.

**დღეს, 11 ივლისს, 1913 წ. გაიმართება**

**არაჩვეულებრივი წარმოდგენა**

ცირკის შეერთებულ ორი განყოფილებისაგან შემდგარი. პირველი გასტროლი უკონკურსო მსროლელისა და ხელოვანის **გიტსონისა**, სახელგანთქმული ბულგარელი მოჯირითე ქალი **თამარა**, წარმატების გამო კიდევ მოწვეულია 5 დღით. პირველი გასტროლი **ძმ. პეტროვების** სხვა და სხვა გვარ დუეტისა დღეს მხოლოდ საგანგებოდ არჩეული საცირკო ნუმრები იქნება წარმოდგენილი.

**ანონსი:** დიდი მზადების გამო პირველი გასტროლი მსოფლიოდ ცნობილ 4 ეშმაკისა გადადო პარასკევისათვის 1913 წ. 12 ივლისს.

**დასაწყ. სალ. 8 ს.** დირექცია **ძმ. ესიკოვსკები.**

426 გამგე **ლ. მ. ხუნდაძე.**

---

**ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება**

**საზოგადოების გამოცემული და საკუთარი წიგნები:**

| | | | |
|---|---|---|---|
| ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა | 4 კ. | ვეფხის ტყაოსანი, | 60 ,, |
| ასპინძის ომი, ი. გოგებაშვ | 7 ,, | ვეფხის ტყაოსანი, ქართ. გამოცემა, | 1—65 ,, |
| ამბავი ცხოველთა სამეფოსი, ნ. რუბაკ. | 50 ,, | Законы Царя Вахтанга, | 3—50 ,, |
| აზიის მნათობი, | 10 ,, | თხზულ. რ. ერისთავისა მეორე ნაწ. | 40 ,, |
| ამოდის, ნათდება ვაჟა | 15 ,, | ,, ვაჟა-ფშაველასი | 1 — |
| ალი, ლომაური | 10 ,, | ,, პუშკინისა | 50 ,, |
| აჩრდილი, ილია | 5 ,, | ,, ექ. გაბაშვილისა | 1—20 ,, |
| ბუნების ცოდნა, პოლ-ბერი | 25 ,, | თავდადებულნი ქართველნი, ი. გოგ. | 7 ,, |
| ბარტყქ ძლევა-მოსილი | 20 ,, | თავდადებ. ქართველი ექიმი, ი. გოგ. | 5 ,, |
| ბურჯი ეროვნებისა, | 20 ,, | თორნიკე ერისთავი, | 35 ,, |
| გეომეტრია მეორე ნაწ., მ. ყიფიანისა | 50 ,, | იავნანამ რა ჰქმნა? | 5 ,, |
| გულივერის მოგზაურობა, | 30 ,, | კონა, ი. გოგებაშვილი. | 40 ,, |
| განდეგილი, ი. ჭავჭავ. | 5 ,, | კრილოვის არაკები, აკაკის თარგმ. | 50 ,, |
| გლეხთა განთ. პირვ. დრ. სცენები, ჭ. | 7 ,, | კაკო ყაჩაღი, | 5 ,, |
| დედა და შვილი, ჭ. | 3 ,, | კაცია ადამიანი?! | 2 ,, |
| ერეკლე მეფე და ინ. ქალი, | 5 ,, | საარაკო თავგადას. ტახტის მემკვიდრისა, | 10 ,, |

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. груз. нас. 1217

---

**გამოსულია და იყიდება**

**ნ. შიუკაშვილის**

**პიესა „მეგობრობა",** დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

---

**ტფილისის კერძო სამკურნალო**

**ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან.**

**ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლოს.**

**ტელეფონი № 590.**

**სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.**

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი **ექიმები-სპეციალისტები:**

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებანი. | **მანსვეტაშვილი მ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს.<br>**მაღალაშვილი გ. გ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12.<br>**მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—. ს.<br>**ფედოროვი ე. გ.** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1.<br>ექ.-ქალ. **ენგელ მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა.** სამ., ხუთ., შაბ. 11—12 |
| ქირურგ. სნეულებანი. | **მარკევიჩი მ. ლ.** კონსულტანტი ყოველ დღე 11½—12½.<br>**მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1.<br>**ფირადოვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1. |
| ქალთა და სამშობ. სნეულებანი | ექიმი-ქალი **მერბიცკი-ფირადოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12.<br>**თიკანაძე ი. ე.** ყოველ დღე 1—2.<br>**მელიქიშვილი ნ. მ.** ყოველ დღე 10—1.<br>**სულაკოვი ა. ი.** ყოველ დღე 2—1. |
| ბავშვთა სნეულ. | ექ.-ქალ. **ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** ყ.-დღე, გარდა ოთხშ. 1—1½.<br>**მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1.<br>**ფედოროვი გ. ს.** ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1. |
| ნერვიულ. სნეულებ. და ელექ. | **გედევანიშვილი. მ ა.** შაბათობით 10½—11.<br>**ჯავახიშვილი ნ. ნ.** ოთხშაბ., პარას. და კვირას 11—12<br>**ფონდოევი გ ს.** ყოველ დღე 1—2 |
| ყელ. ყურის და ცხვირ. | **ათენიანცი ნ. ა.** ყოველ დღე 12½—1½.<br>**ორემბოვსკი ნ. ს.** ყოველ დღე 1½—2. |
| თვალის სნეულ. | **მუსხელიშვილი მ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½. |
| კან. და ვენერ. ავ. | **დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე 11½—12½. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann. რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსილიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, ,,606'' და ,,914'' წამლის შეშხაპუნება, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა, შეღავათიანი საფასურით. წ. 1035

---

**ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლთან არსებულ ქართულ სახალხო წარმოდგ. მმართველი წრის**

**გამგეობა**

ამით აცხადებს რომ, დღეს, საღამ. 8 ს., „წრის" ბინაზე (მიხეილის ქუჩა, № 102), დანიშნულია „წრის" წევრთა

**საზოგადო კრება**

განსახილველი კითხვები: 1) გამგეობის წევრთა და მისს კანდიდატთა დამატებითი არჩევნები. 1160

---

**ბროლის ღიმილი**

**ი. გრიშაშვილისა**

---

**ხაშურის (მიხაილოვო) საზოგადო 6 კლასიანი სავაჭრო პროგიმნაზი**

(მოსწავლეთათვის უფლებიანი) იწვევს თავისუფალ ადგილებზე შემდეგი საგნების მასწავლებლებს: 1) ლათინური ენისა 15 გაკვეთილი —1200 მანეთი წელიწადში. 2) რუსული ენისა მე-III, IV, V, და VI კლასებში—1200 მანეთი წელიწადში, 3) ნემეცური ენისა ყველა კლასებში—1200 მანეთი წელიწადში. და 4) მათემატიკისა მე-III, IV, V და VI კლასებში, ფიზიკისა მე-VI კლასში და ბუნების-მეტყველებისა მე-II და III კლასებში—1320 მან. წელიწადში.

თხოვნა და დოკუმენტები მოკლე „curiculum vitae"-თ უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Михайлово, тифл. губ., въ комитетъ о-ва попеченія о гимназіяхъ въ сел. Михайлово. 1386.

---

**საზურთალოზე**

**მშვენიერ ალაგას**

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიყრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უპირატესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ფული** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 1320

---

**ვაგზლის კერძო სამკურნალო**

**გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.**

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

**ე. ს. გაშაკიძე.** ყოველ დღე, შინაგან. ავადმყ. 9½ ს. 10 ს.

**ა. ნ. დიასამიძე.** ყოვ. დღე, კვირ. გარ. და. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—1½ ს.

**ბ. ა. პოპოვი.** ყოვ. დღე, კვირის გარდა. ყელ. ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—11½ ს.

**ექ. ქალი იოსელიანისა**—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—11½ ს.

**ნ. მ. მელიქიშვილი.** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

**მ. გ. კლდიაშვილი.** ყ.-დღ. შინაგ. ავადმყოფ. 1—2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი' აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა ფასი რჩევისათვის 50 კ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

**წამლობა ,,606''-ით** 1035

---

**სამკურნალო**

**სპეციალისტ-სამხედრო ექიმებისა**

გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქ. დიდ ქ.-ზე, № 3, ალექსანდ. ბაღ. მახლობლად, ტელეფონი № 481.

ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათიდან საღამოს 5 ს.-დე.

**ბელიაევი.** ბავშვ. შინაგ., ავადმ., ყ.-დღ., 10—1½ ს.

**ა. ხუდაბაშევი.** ბავშვ. შინაგანი ავადმ., ყოველ დღე 3—3 ს.

**ბოგუცკი.** ბავშვ. შინაგ. ავადმ., ორშაბ., ოთხშაბ., და პარასკ. 4—5 ს.

**ვორობიოვი**—ბავშვ. შინაგანი სნეულებისა. სამშაბ., ხუთშაბ. შაბ. და კვირ. 4—5 ს.

**გ. ნ. გეინაცი**—თვალისა ორშ., ოთხშ., და პარასკ. 4—5 ს.

**თაყაიშვილი.** კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.

**ექ. ქალ იოსელიანი.** ქალური სნეულ. ორშ. ოთხშ, პარასკ., და კვირ. 11—12 ს.

**კალამკაროვი.** ბებია, ქალურის სნეულ. ყ.-დღ. 12—1 საათ.

**ლიმონი.** კბილ ექიმი. ყ.-დღე 11—1 ს.

**ხაიდაროვი.** ვენერიულ, კანისა და საშარდე სნეულ. ყოვ.-დღე 4—5 საათ.

**ტ. ი. რუდენკო.** შინაგან სნეულ. კონსულტანტი. ხუთშ. და კვირ. 3—4 ს.

**თეთრაძე.** სიფ., ვენერიული და კანის სნეულ. ყოვ.-დღე 1—3 ს.

**ა. ა ხოდნევი**—თვალ. ექ. სამშ, ხუთშ., შაბ., და კვ., 4 5 ს.

**პონდოევი.** ძარღვ., სულ., ავადმ., ელექტრო-ტერაპია, ყოვ.-დღე გარდა კვირისა, 11½—12½ საათ.

**შამაში,** სადოსტაქრო; ყ.-დღ., 1—3 ს.

**სათვალეების არჩევა.**

კონსულტაცია, ოპერაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ჰიპნოზი, ანალიზი, ძიძებისდა მოსამსახურეთა გასინჯვა. „Wasserm an"-ის რეაქციით სიფილისიან სისხლის გამოკვლევა. 1070.

---

**ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი**

**ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში.** იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. **იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 408

---

**ექიმი ი. ი. ბერიშვილი** სწამლობს **საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის ავადმყ.; ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 102

---

**ექიმი** **კბილისა არჩილ დოლიძე**

**დაბრუნდა** საზღვარ-გარეთიდან და განაახლა ავადმყოფ. მიღება ძველ ბინაზე (ნაძალად., ჩერქეზიშ. ქ. № 145). ყოვ.-დღ. 8—2 ს. 4—7 ს. 427

---

**კბილის ექიმი ა. გ. სოლოღაშვილი** იღებს ავადმყოფებს **აბასთუმანში.**

---

**ექიმი კბილისა და ღრძილებისა ძაჯაია**

იღებს ავადმყოფებს დილის 8-დან საღამოს 7 საათამდე.

ვაგზლის ქუჩა, № 10. 1388


## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

გაზეთი „რუსკაია მოლვა" ეხება „ლუჩი"-სა და „ტრუდოვოი გოლოსის" დახურვას და ამბობს:

„აუარებელი მუშა დარჩა ბეჭდვითი უორგანოდ, რომელიც მათ შრომას აშუქებდა და მათი ინტერესების გამომხატველი იყო".

გაზეთი ამტკიცებს, რომ ასეთი გაზეთები ყოველ კულტურულ ქვეყანაში მოიპოვება მიუხედავად იმისა, რომ ისინი პარტიულია. დასასრულ გაზეთი დასძენს, რომ ასეთი საყოველდღეო ინტერესების ამგვარი დარღვევა მხოლოდ მორიგ პოლიტიკურ შეცდომად უნდა ჩაითვალოს.

***

ესევე გაზეთი ეხება ბულგარეთის პოლიტიკის გადაბრუნებას და ამტკიცებს, რომ რუსეთის დიპლომატიას ამაში დიდი დანაშაული მიუძღვის, რადგან რუსეთიდან ბულგარეთი ვერაფერს ელირსა. უპითებს რა იმ გარემოებას, რომ ბულგარელებს მუდამ ჰყავთ ფარული მოკავშირე და თანამგრძნობი ავსტრიის სახით, გაზეთი დასძენს:

„აი სწორედ ამ მხარისაკენ მიაპყრა ბულგრეთმა თვალი საბოლოოდ რუსეთის შუამდგომლობის. „კრახისა" და დანევის რუსოფილურ მოღვაწეობის შემდეგ. ბუნებრივად უნდა ჩაითვალოს, რომ ბულგრეთის პოლიტიკის საქმე სხვა მხარისაკენ მიბრუნდა. იმ სიტყვების ძლიერება, რომლითაც რუსეთ ბალკანელ ერებს მიმართავდა, თავიდანვე სუსტდებოდა ჩვენი მთავრობის უხეირო პოლიტიკის წყალობით. ამ პოლიტიკის შინაურულ შიშს ფატალურად მივყავდით და მოვყევართ კიდეც დამარცხებისაკენ".

***

გაზეთი „რეჩი" საქმეს ჯერ კიდევ ოპტიმისტურად უყურებს, და რადგან დიდი იმედი აქვს ევროპის სახელმწიფოთა ზედ-გავლენისა ბალკანელ მოკავშირეებზე ამბობს:

„იმ შემთხვევაშიაც კი, თუ სხვა და სხვა ბანაკის ბალკანეთის პოლიტიკოსები ერთმანეთს შორის დამოუკიდებლად გამართავენ მოლაპარაკებას,—ამ შემთხვევის განხორციელება კი ყველაზე ადვილი მოსალოდნელია, — მაშინ, როგორც ეტყობა, ეს მოლაპარაკება მოხდება ევროპის სახელმწიფოთა პირდაპირის ან და არაპირდაპირის მონაწილეობით. ასეთი მონაწილეობა შეამცირებს „მეგობართა" მოთხოვნილებებს, რომელნიც ბულგარეთს ყოველმხრიდან შემოერტყნენ და არამც თუ ახლად შეძენილ მიწებსართმევენ, არამედ ძველის-ძველ, საკუთარ ტერიტორიასაც-კი".

***

ესევე გაზეთი ეხება მუშების ეხლანდელ გაფიცვას და დიდ განსხვავებას ჰხედავს ამ გაფიცვებსა და 1905 წლის გაფიცვებს შორის. გაზეთის აზრით, 1905 წლის მოძრაობას—ნაციონალური ხასიათი ჰქონდა, 1913 წელს კი—კლასსიური. და, როგორც ასეთი, მუშათა ეხლანდელი მოძრაობა ორ მტოდ იყოფა: პოლიტიკური და ეკონომიური. შემდეგ გაზეთი ეხება გაფიცვების გამო გამწვავებულ უთანხმოებას „ბოლშევიკებსა" და „მენშევიკებს" შორის და ამბობს:

„ეხლა ამ უთანხმოების გადასაწყვეტად თვით მუშები ჩაერივნენ საქმეში ვასილიევის კუნძულის სხვა და სხვა ქარხნების ლითონის მუშების კრებაზე 30 ხმით ორის წინააღმდეგ მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომლითაც დაგმობილ იქმნა ეხლანდელ გაფიცვების ქაოტიური ხასიათი. 2 ივლისს კი ს.-პეტერბურგის ლითონის ქარხნების მუშების ვეებერთელა მიტინგზე გამოქვეყნებული იყო მკვახე რეზოლიუცია ნაროდნიკებისა და სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ. ამ რეზოლიუციას კრებამ მხარი დაუჭირა. მუშების ეს ჩარევა, ვგონებთ, საკმაოა იმ შიშის უკუსაგდებად, თითქოს კრებებისა და კავშირის თავისუფლების დამყარებით ჩვენში ყველა ქარხნების მუშაობა შესწყდეს, პირიქით, მხოლოდ მაშინ შეიძლება ქაოტიური და უწესრიგო, შემთხვევითი ხასიათის გაფიცვებთან სერიოზული ბრძოლა".

შემდეგ გაზეთი ეხება გაფიცვების გამომწვევ მიზეზებს და უმთავრესად მათს ეკონომიურ ხასიათს აღნიშნავს: ცხოვრების გაძვირებას და მუშების ძველ მდგომარეობის უცვლელობას. გაზეთს უახლოეს საჭიროებად მიაჩნია, რომ მუშებს კრებისა და კავშირების თავისუფლება მიენიჭოს:

„მუშათა შორის ძლავრ გავლენიან პროფესიონალური კავშირების შექმნა და ლეგალიზაცია, რომელთაც მართლაც შეეძლებათ მასის წინამძღოლობა და სტიქიური აფეთქების მოწესრიგება— რუსეთის მრავალ მრეწველობისათვის უსაჭიროეს მოთხოვნილებად გადაიქცა".

## ახალი ამბავი

### ტფილისი

✦ **მუშათა დაზღვევის** ტფ. საგუბერნიო საკრებულომ დაადგინა, დააკისროს ქარხნებსა და ფაბრიკებს აძლიონ მუშებს: ავადმყოფობის დროს მანეთ ნახევარი და ბინის ქირად-ჯამაგირის 15%. დადგენილებას მთელს ტფილისის გუბერნიაში აქვს ძალა.

✦ **ფილოქსერასთან ბრძოლა.** თელავის მემამულეთა და მევენახეთა კერძო თათბირმა დაადგინა: რადგანაც ფილოქსერით დაავადმყოფებული უკვე 32 ვენახი აღმოჩნდა, ამიტომ სთხოვოს მთავრობას, ფილოქსერის გამოკვლევას თავი დაანებოს და ამ საქმისთვის გადადებული ფულით ვაზის სანერგები გააშენოს მცხოვრებლებისთვის უფასოდ, ან იაფად დასარიგებლად.

8 ივლისს მევენახეობის და მეღვინეობის ტფ. საგუბერნიო კომიტეტის კრება მოხდა კახეთში აღმოჩენილ ფილოქსერის წინააღმდეგ ღონის-ძიებათა შესამუშავებლად. რადგანაც თელავსა და სოფ. ვარდისუბნისა და კურდღელაურ'ში დიდის ხნის ფილოქსერა აღმოჩნდა, ამიტომ კომიტეტმა დაადგინა, ამ ადგილებში ფილოქსერის გამოკვლევას თავი გაანებოს და საფილოქსერო დასი, რომელსაც უფროსი ინსტრუქტორი ნ. კ. მაქარაშვილი ხელმძღვანელობს, გაჰყოს ორ დასად და ფილოქსერის გამოსაკვლევად გაჰგზავნოს— ერთი სოფ. კისისხევისკენ, მეორე— სოფ. იყალთოსაკენ. ამას გარდა კომიტეტმა დაადგინა, მეორე დასი, რომელსაც უფროსი ინსტრუქტორი ი. ო. იოსელიანი ხელმძღვანელობს, გაჰგზავნოს ბორჩალოს მაზრას, სადაც სოფელ სადახლოში თ-დ გ. დ, აფხაზის ვენახში, ფილოქსერის ნიშნები აღმოჩნდა. კომიტეტმა ამასთანავე დაადგინა, კიდევ ოთხი ახალი დასის შედგენა თელავსა და სიღნაღის მაზრაში სამუშაოდ.

✦ **საულელტეხილო და კახეთის რკინის გზა.** ტფ. გუბერნიის თავადაზნაურთა კრების დადგენილების თანახმად თავად-აზნაურთა დეპუტატების საკრებულომ საგანგებო კომისია აირჩია თავ. კ. ნ. აფხაზისა, თ-დ დ. გ. ჩოლოყაშვილისა და თავ. დ. ა. გურამიშვილისაგან და დაავალა, იშუამდგომლოს, რათა კახეთის რკინის გზა თელავიდან ახმეტამდე გააგრძელონ და შემდეგ საულელტეხილო გზას შეუერთონ.

✦ **ბაქოს გუბერნატორი** ვ. ვალიშევსკი ტფილისს ჩამოვიდა.

✦ **დახმარება ჟურნალისტს.** ქართველ მსახიობ ვ. გუნიას შუამდგომლობის თანახმად თავად-აზნაურობის დეპუტატების საკრებულომ დაადგინა, სათავად-აზნაურო თანხიდან 100 მან. მისცეს დახმარებად ავადმყოფ ჟურნალისტ ლევან ყიფიანს, რომელიც ამ ჟამად არამიანცის საავადმყოფოში წევს. ავადმყოფი თავს უკეთ გრძნობს და ერთი ორის კვირის შემდეგ საავადმყოფოდან გამოეწერება. ექიმების სიტყვით მას ესაჭიროება სადმე სუფთა ჰაერზე აუცილებლად წასვლა.

✦ **შუამდგომლობანი.** გუბერნატორმა შეუძლებლად სცნო, დააკმაყოფილოს სიღნაღის ქალაქის თვითმმართველობის რწმუნებულთა ამომრჩევლების შუამდგომლობა: საქალაქო არჩევნები ივლისის მაგივრად შემოდგომაზე დაინიშნოს.

✦ კავკასიის სამოსწავლო ოლქი

მზრუნველი გუბერნატორის წინაშე შუამდგომლობს, ძალა დაატანოს გორის ქალაქის თვითმმართველობას, რათა თავის დროზე აძლიოს გორის სავაჟო გიმნაზიას აღთქმული ფული —2,000 მან. წელიწადში.

გუბერნატორმა დააკმაყოფილა ახალციხის ქალაქის რწმუნებულთა შუამდგომლობა: საქალაქო არჩევნები 5 სექტემბრის ნაცვლად 27 ოქტომბერს დაინიშნოს.

ბავშვთა უფასო სასადილოსი და სასოფლო-სამეურნეო ახალშენის საზოგადოებამ შუამდგომლობა აღძრა მიწად-მოქმედებისა და მიწად-მოწყობის მთავარ სამმართველოს კავკასიის რწმუნებულის წინაშე, მისცეს საზოგადოებას 500 მან. დახმარებად. რწმუნებულმა ფულის მიცემა შეუძლებლად სცნო, რადგანაც საზოგადოება ახლად დაარსებულია და მისი მოქმედება ჯერ-ჯერობით გამოურკვეველია.

◆ **ძველის ნიშის გაუქმება.** ქართლ-კახეთის სასინოდო კანტორამ დაადგინა, გააუქმოს სამების ნიში (სადგურ ქსანკაზე), რადგანაც ის მოუწყობელია და მისი ქონება მამკოდის მონასტერს გადასცეს.

◆ **კომპოზიტორი ნ. პ. სულხანიშვილი** „ახალ კლუბის“ დავალებით გუშინ, დილით, ფონოგრაფიანათ გაემგზავრა ქართულ სახალხო სიმღერების შესაკრებად. ბ-ნი სულხანიშვილი, სხვათა შორის, 20 ივლისს მონაწილეობას მიიღებს ილიას საღამოში, რომელიც თელავში იმართება.

◆ **ფრინველთა მომშენებელმა** კავკასიის საზოგადოებამ დაადგინა, საწევრო ფული 3 მან. ნაცვლად ერთი მანეთი დააწესოს.

◆ **ტფ. საბოტანიკო ბაღში** ინჟენერ-ჰიდრავლიკის პ. ნ. სოფრონოვის ხსოვნის აღსანიშნავად გაყვანილ იქმნას მილის წყალი ორი ვერსის მანძილზე.

◆ **ქ-ნმა ე. ი. სარაჯიშვილმა** ავადმყოფ მგოსნის ი. ევდოშვილის სამკურნალოდ 100 მ. შესწირა.

◆ **ტრამვაის** დირექცია მოვალეა, ამ ჟამად ტფილისში 130 ვაგონი მუშაობდეს. ნამდვილად მუშაობს 115 ვაგონი. აკლია 15 ვაგონი, რისთვისაც ქალაქი ყოველ დღე აჯარიმებს თვითეულ ვაგონზე საათში ორ მანეთით. რადგანაც ვაგონების რიცხვი ცოტაა, დირექცია ასე იქცევა: იმ შტოებზე, სადაც ნაკლები შემოსავალია, ვაგონების მცირე რიცხვს ამუშავებს, ხოლო დიდს შტოებზე იმაზე მეტსაც, რაც ხელშეკრულობაშია აღნიშნული, მაგალითად, ნაძალადევში ხელშეკრულობით ექვსი ვაგონი უნდა მუშაობდეს, ნამდვილად კი მხოლოდ ორი ვაგონი მუშაობს. შეიძლება თუ არა ტრამვაის დაჯარიმება ამისათვის,—ამის გამორკვევა ქალაქის საბჭოს სატრამვაიო კომისიამ ქალაქის იურისკონსულტს მიანდო.

◆ **ტრამვაის საელქტრონო სადგური** 27 ივნისიდან 7 ივლისამდე უწეს რიგოდ მუშაობდა, რაც ძალიან აფერხებდა ვაგონების წესიერ მოძრაობას. ამის გამო საელექტრონო სადგურს ქალაქის საბჭოს სატრამვაიო კომისია დაათვალიერებს ქალაქის გამგეობის წევრის მ. ნ. ათაბეგოვის მეთაურობით. თუ აღმოჩნდა, რომ სადგური უწესოდ მუშაობდა ტრამვაის დირექციის დაუდევრობის გამო, მაშინ დირექცია დაჯარიმებულ იქნება.

◆ **არქიმანდრიტი ნაზარი,** საქართველოს მონასტრების ბლაღოჩინი, კომენის მონასტერს (ბორჩალოს მაზრა) გაემგზავრა.

◆ **მონასტრის განახლება.** ქართლ-კახეთის სასინოდო კანტორამ დაადგინა, განაახლოს გუჯარეთის ძველი მონასტერი (ბორჩაალოს მაზრა). ამ საქმის განსახორციელებლად საგანგებო კომიტეტი იქმნა არჩეული. კომიტეტში შედიან: არქიმანდრიტი ნაზარი, საგლეხო ბანკის გამგე ა. ა. პავლოვი, ბორჩალოს მაზრის უფროსი და იღუმენია ინოკენტია.

◆ **სასანიტარო დათვალიერება.** 9 ივლისს, საღამოს 10 საათზე, ქალაქის სასანიტარო კომისიამ სასანიტარო ექიმის მირაქოვისა, ექიმ პაპოვისა (ხმოსანია) და სხვათა მონაწილეობით მოულოდნელად დაათვალიერა სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებანი, რომელიც მიხეილის ქუჩაზე მდებარეობს: რუსული კლუბი, „პარადიზ“-ის ბაღი, ვეტცელისეული სასტუმრო, საკონდიტერო „დოვერია“ და სხვანი. ყველგან სისუფთავე აღმოჩნდა. სასანიტარო წესების ზოგიერთ მუხლის დარღვევა აღმოჩნდა ყავახანაში, რომელიც მიხეილის ქუჩაზე ამ დღეებში გაუხსნიათ ქალაქის გამგეობის ნებადაურთველად.

◆ **მხატვრის გ. გაბაშვილის ახალი სურათი.** ჩვენმა მხატვარმა გ. გაბაშვილმა ერთს ტილოზე დახატა სურათები სამის გამოჩენილის ქართველ გენერლისა: თ-დ ი. გ. ამილახვრისა, თ-დ ზ. გ. ჭავჭავაძისა და თ-დ მ. ამირეჯიბისა. ეს სურათი ამ დღეებში თავად-აზნაურობის დეპუტატთა საკრებულომ შეიძინა 1,000 მანეთად.

◆ **საბირჟო ცნობები.** 10 ივლისს ტფილისში შეთანხმება არ მომხდარა პროცენტიან ქაღალდების ფასი შემდეგი იყო: ტფ. ქალაქის საკრედიტ. საზოგადოების 5% ობლიგაციებისა: აფასებენ 85 მან. 30 კ., აძლევდნენ —84 მან., 50 კ. ტფ. სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებენ —83 მ. 20 კ., აძლევენ—82 მ. 30 კ., ქუთაისის სათავ.-აზნაურო საადგილ მამულ. ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებდნენ—80 მ., 75 კ., აძლევდნენ—80 მ. და სახელმწ. მომგებიან ბილეთებისა: პირველ სესხისა —472 მ., მეორისა—343 მ. და მესამისა—318 მან. 50 კ.

## საზოგადოებანი და კრებები

◆ **ქართულმა სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ** მიწად-მოქმედების დეპარტამენტის წინაშე შუამდგომლობა აღძრა, მისცეს მას შემწეობად 10,000 მან. კახეთში ამერიკულ ვაზის სანერგეების გასაშენებლად. დეპარტამენტმა ამ საგნის შესახებ მევენახეობისა და მეღვინეობის კომიტეტს თავისი აზრი მოსთხოვა. კომიტეტმა შუამდგომლობის დაკმაყოფილება საჭიროდ იცნო იმ პირობით კი, რომ ქართ. სამეურნეო საზოგადოებამ იმუშაოს კომიტეტის მიერ შედგენილ გეგმის თანახმად.

◆ **ტფ. ქართველ ქალთა საზოგადოების** წესდება გუბერნატორმა უკვე დაამტკიცა. საზოგადოების წევრთა დამფუძნებელი კრება მოკლე ხანში დაინიშნება.

◆ **ქალაქის საბჭოს სატრამვაიო კომისიის** კრება 9 ივლისს მოხდა. სხვათა შორის, განიხილა ტრამვაის დირექციის შუამდგომლობა. დირექციას განუზრახავს, ტრამვაის დასადგომი ზოგი პუნქტი გააუქმოს და ამის მაგივრად, ახალი პუნქტები დააწესოს და კომისიისაგან ამის ნებართვას თხოულობდა. კომისიამ პრინციპიალურად შესაძლებლად სცნო, ასეთ ნებართვის მიცემა, ხოლო დაადგინა, ჯერ-ჯერობით შეეკითხოს დირექციას, სულ რამდენი პუნქტია და რა ადგილას, სად აპირობს გაუქმებას და სად ახალის დაწესებას.

## სასწავლებლებში

◆ **ტფ. დედათა საეპარქიო სასწავლებლის** საპედაგოგიო საბჭომ დაადგინა, შემდეგი სწავლის ფული დააწესოს მომავალ სამოსწავლო წლიდან: მოსამზადებელ განყოფილებებში-40 მან., ნაცვლად ახლანდელ 35 მან., პირველ, მეორე და მესამე კლასში—50 მან., ნაცვლად 45 მან. და დანარჩენები- 60 მ., ნაცვლად 55 მან.

## სასამართლო

◆ **ნ. ნ. ლაგოდა.** ტფ. სამოსამართლო პალატის უფროსი თავჯდომარე, რომელიც დასასვენებლად იყო წასული, ტფილისს დაბრუნდა.

## ქუთაისი

◆ ქალაქის სასკოლო კომისიამ ამ ორიოდე დღის წინად განიხილა სამოსწავლო ოლქის მზრუნველისაგან ქალაქის მოურავზე მოსული ქაღალდი, რომლითაც ის ადასტურებს ადგილობრივი სახალხო სკოლის დირექციის განკარგულებას ქალაქის სკოლის გამგისა. ოდიშარიასა და მასწავლებლის ც. ნაცვლიშვილის ადგილებიდან დათხოვნის შესახებ; მხედველობაში მიიღო ის გარემოება რომ ხსენებული პირნი სრულიად უსამართლოდ არიან დასჯილნი დირექციის მიერ მხოლოდ იმისათვის, რომ ისინი მონურად არ დაემორჩილენ დირექციის უკანონო განკარგულებას 81 წლის სასწავლო გეგმის შეცვლის შესახებ; რომ დირექციამ ყალბი ცნობები მიაწოდა მზრუნველს და შეაცვლევინა თავისი დადგენილება მასწავლებლების თავის ადგილებზე დატოვების შესახებ, და ერთხმად დაადგინა: განაჩივრებულ იქნას კავკასიის ნამესტნიკის წინაშე ადგილობრივ დირექციისა და ოლქის მზრუნველის უკანონო განკარგულებანი აგრეთვე წარედგინოს მის ბრწყინვალებას მდგომარე წლის 8 იანვარს ქალაქის საბჭოს მიერ მიღებული დადგენილება ქალაქის თვითმართველობასა და დირექციას შორის ჩამოვარდნილის, არა-ნორმალური დამოკიდებულების შესახებ; გარდა ამისა, დაევალოს ქალაქის გამგეობას შეჰკრიბოს ცნობები იმის შესახებ, თუ რა პირობით შეიძლება ქალაქის პირველ-დაწყებითი სასწავლებლები დაბალ სავაჭრო სკოლებათ გადაკეთდეს. ამ საგნის შესახებ მოხსენება უნდა წარუდგინოს ქალაქის საბჭოს მომავალ სექტემბერში.

◆ ქალაქის საექიმო-სასანიტარო კომისიამ დაავალა ქალაქის გამგეობას—სექტემბერში მოხსენება წარუდგინოს ქალაქის საბჭოს შესახებ იმისა, რომ აღძრულ იქნეს სათანადო შუამდგომლობა, რათა მთავრობამ ყოველწლიური დახმარება აძლიოს ქალაქის საავადმყოფოს შესანახად.

◆ ოლქის სასამართლოს მოუთხოვია ქალაქის გამგეობისაგან ის მარკების დასაქრობი მანქანა, რომლითაც შარშან ვინმე მებურიშვილმა თავი გაუტეხა ქალაქის გამგეობის წევრს, აწ, განსვენებულს, კოტე ბაქრაძეს.

◆ თავ. გურიელებსა და აზ. ჭყონიებს ხაზინიდან დიდძალი მამული მოუგიათ ლანჩხუთის მახლობლად (სოფ. ჯურუყვეთი). ამ მამულზე დიდის ხნით მამა-პაპათაგან დასახლებულია გლეხობა. იმედი უნდა ვიქონიოთ—ახალი მებატონენი ისეთს ზომებს არ მიმართავენ, რომ გლეხებს წინა მებატონის დრო სანატრელად გაუხდეთ.

◆ წ.-კ. გ. ს. ქუთაისის განყოფილებამ ქუთ. გუბერნატორს სთხოვა, ნება დართოს გამგეობის სახელით მოწყობილს სოფლის ბიბლიოთეკა-სამკითხველოებთან სასწავლო წიგნების და სხვა ნივთების საწყობი მოაწყოს, რომ ადგილობრივ მოწაფეთ გაუადვილოს მათი შეძენა.

◆ ჟურნალ „ოქროს ვერძის“ რედაქტორი ბ. ჯაიანი გვთხოვს ამ ჟურნალის მკითხველთა საყურადღებოდ გამოვაცხადოთ, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზებისა გამო ჟურნალის გამოცემა დროებით შეჩერებულია.

◆ ბათომის დრამატიულმა საზოგადოებამ რეჟისორად მიიწვია შალვა დადიანი. დადიანი უკვე შეუდგა დასის შედგენას. ჯერ-ჯერობით მოლაპარაკება აქვს გამართული ე. მესხის ნ. დავითაშვილის ე. ანდრონიკაშვილის და ო. ლეჟავას ასულთან. ვაჟთაგან დასში იქნებიან: დ. მგალობლიშვილი, ი. ბარველი, ყალაბეგიშვილი, პ. კორიშელი და სხვანი.

◆ ქუთაისის გუბერნატორმა ნება დართო ჩოხატაურში კოოპერატიული საზოგადოების გახსნისა.

(„იმერეთი“).

# დღიური

საშინელებაა!

მკითხველს მინდა მოვაგონო შიო არაგვისპირელის მშვენიერი ამბავი ზემო-ამოწერილის სათაურით.

სანდრო სოფელში დაბინავდება საზაფხულოდ და ხშირად დადის მთის წვერზე, სადაც ძველი ნანგრევებია, და იქიდან სტკბება ბუნების სიმშვენიერით, წარსულის მოგონებით. ერთხელ თავს წამოადგება ახალგაზდა გლეხი მიხო, მეტად მიმზიდველი სახისა, ახოვანი, დიდრონ თვალებიანი, ცოტათი ტლანქი, მაგრამ სანდო, გულუბრყვილო, მინდობილი, ისეთი, როგორიც არის ჩვენი ერის მომეტებული ნაწილი, გაჭირვების დროს გამხეცებული, თავხედი და საზღაპრო საქმის ჩამდენი; ზრდილი, გულჩვილი და მოსიყვარულე, მაგრამ მოთმინებიდან გამოსული შეუბრალებელი, ვიდრე ებრძვი; წაქცეულს ფეხზე ააყენებს და თავს შემოევლება, შეურაცხყოფას და დამცირებას მოითმენს, მაგრამ თუ არ აკმარე, გააცხარე, ერიდე—სამაგიეროს მოგიზღავს...

ამ მიხოს, უბრალო პატიოსანს გლეხს, დაუღალავს მუშას სხვისი მოკვლა დააბრალეს უსამართლოდ, დაიჭირეს, სცემეს უმოწყალოდ, აწამეს და მერე ბოსელში ჩააგდეს, რომ სახრჩობელაზე გაეგზავნათ შემდეგ. მიხო დარაჯებს გაეპარა და ყაჩაღად გავარდა უნებურად.

საშინელია სანდროს და მიხოს შეხვედრა. ეს შეხვედრა რამდენსამე წამს გრძელდება მხოლოდ, მაგრამ აღსავსეა ტრაგიზმით, რომელსაც განიცდის მართალი კეთილი ადამიანი იძულებით გაბოროტებული, ძალად მკვლელი და ყაჩაღი. ცხოვრების საზიზღრობით გამწარებული მიხო, თოფს დაუმიზნებს სანდროს, მაგრამ მყისვე შერცხვა, აწითლდა და ლულა ძირს დაუშვა. მისი თვალები ლმობიერებით და სიკეთით აივსება და მეგობრულად გამოესაუბრება სანდროს. ნაღვლიანად ეკითხება: „უთუოდ გეცოდინება, როდის მოეღება ბოლო ამ უსამართლო ქვეყანას!.. ვინც მოხვდებათ, დაიჭერენ, წაიყვანენ და გზაში მოჰკლენ, ან თუ სამართლის კარამდის მიიყვანეს, სახრჩობელას ვერ ასცდება!...“

სანდრო ვერ მიწვდა მიხოს გულისტკივილს, ამშვიდებს: უსამართლობა წარმავალია და მალე გაივლისო—როდის, და როდის როდის? ეუბნება კიდევ უფრო გამწარებული მიხო: როცა მეც ანდერძს ამიგებენ, მაშინ? წარმავალია.. კარგი წარმავალია, როდესაც ეს წარმავალი მეც თან მიმათრევს!.. ერთი ჩემს ადგილას უნდა იყო, მაშინ ნახავდი, რასაც იტყოდი?!

სანდროს ეუცხოვა ეს სიტყვები: რატომ ამ კილოთი მელაპარაკები, თითქოს მე ვიყო დამნაშავე!—მიხო მოთმინებიდან გამოიყვანა ასეთმა გაუგებრობამ, მიუკარებლობამ და ერთმანეთის დაშორებამ, სასტიკად წამოიძახა: „კმარა!. წადი ეხლავე და ღმერთს საყდარში სანთლები აუნთე, რომ სისხლის მსმელ ყაჩაღს ცოცხალი გადურჩი“, მიხო ერთბაშად ვეფხად გადაიქცა. სანდრო არ შეუკრთა და გულცივად უპასუხა: „თუ კი თქვენის გაუმაძღრობისათვის ჩემი სისხლიც საჭიროა, შემიწირეო“. ჩამოვარდა სიჩუმე, მიხა დაიტანჯა, მთელი ტანი აუთამაშდა, აუკანკალდა, პირის ოფლი წასკდა.—ეჰ! ღრმად ამოიოხრა, თოფი მიაგდო და მუხლს მოკავებული სალოკი თითი ზევიდგან, მარცხენა საფერთქლიდან, მაგრად დაჰქერით მარჯვენამდის გადისვა. წკრიალით ჩამოსდიოდა თითის ფრჩხილიდგან ოფლი და ცხვირ წინ აფხვიერებულ მიწას ალბობდა,—„სხვისა ქირიო, ღობეს ჩაირიო!“ ხმის კანკალით დაუმატა მიხომ, როდესაც ჩამოიწურა შუბლი და ჩოხის კალთით მოიმშრალა.

სანდრო გაკვირვებული შესცქეროდა და თავისთავს ეკითხებოდა: ნუთუ ეს ის მიხოა, რომელიც განურჩევლად სისხლსა ღვრის? დარწმუნებული ვარ სისხლის დანახვაზედაც კი გული წაუვა...

სწორედ ასეთი გულჩვილი, კეთილი, მშვიდი, უწყინარი მიხო კაცის მკვლელი ხდება იძულებით. ცრემლები მოადგება ადამიანს, როცა მოისმენს იმის ამბავს, თუ როგორ უსამართლოდ მოსწყვიტეს მიხო თავის ცოლ-შვილს, თავის კერას, თითქოს უნებურად ინსტინქტიურად მოჰკლა პირველი კაცი, მის დასაჭერად და მოსაკვლელად გამოგზავნილი დარაჯი. „აი, ასე მოვკალი პირველი ადამიანიო, უამბობს სანდროს; მერე კი... მერე კი. ეჰ, ამაზე რაღა ვილაპარაკო! ჯერ არ მომეკლა, მეეჭვს და შემდეგ სახრჩობელას დამპირდნენ. ეხლა მოვკალი, სახრჩობელა არ ამცდება. ათასიც რომ მოვკლა, მაინც სახრჩობელა მომელის, ათასჯერ ხომ ვერ ჩამომახრჩობენ, მხოლოდ ერთხელ... მაშ, უნდა ვიბრძოლო, ვიდრე მე არ მომკლავენ, ან კიდევ არ ჩამომახრჩობენ“...

მოკლედ უამბო მიხომ სანდროს თავისი თავგადასავალი. მისმა ამბავმა გული მოუკლა სანდროს, თავსხდარი დასცა, იგი მუხლებზე დაეცა და ემუდარა მიხოს, რომ დაენებებინა თავი ამგვარ მოქმედებისათვის და შეჰპირდა შველას. მიხაც სიხარულით შეეგება ამ განზრახვას, და ტირილით წამოიძახა: „რანაირი სამუშაოც უნ-

# ცოტა რამ მელიორაციების შესახებ*)

**2) სამელიორაციო კრედიტი.**

**ინგლისი:** ამ კრედიტს იძლევა მთავრობის დაარსებული ფონდი და კერძო კომპანიები. 1846 წ. დაარსდა ფონდი, რომელშიაც იყო 3 მილ. გირვანქა სტერლინგი. სესხს აძლევდნენ $3^{1}/_{2}$%-ად. 1864 წ. კანონმა კერძო კომპანიებს კრედიტის გასაცემად ფართო გზა გაუხსნა, რადგანაც ამ კანონმა კერძო კომპანიებს პრიორიტეტი მისცა. კომპანიები სესხს იძლევიან შემდეგ საქმეებისათვის:

1) მდინარეთა და არხთა გასაუმჯობესებლად და დრენაჟებისათვის;
2) ირრიგაციისათვის;
3) მდინარეების და ხევების ნაპირების გასამაგრებლად;
4) მინდორთა გამიჯვნა და შემოღობვა;
5) ყოველ-ნაირ გზების გაკეთებისა და სანაოსნო არხების გასაჭრელად მამულის გასაუმჯობესებლად;
6) ნიადაგის გაუმჯობესებისათვის;
7) ნიადაგის გასაწმენდად;
8) საფერმო შენობათა და სოფლის მუშათა ბინების ასაგებად;
9) ტყის გასაშენებლად;
10) მანქანათა სადგურების, წისქვილების, წყლის ბორბლების, მალაროების, ქუჩების, აუზების და სხვათა ასაშენებლად;
11) ნავთსადგურების აშენება სასოფლო-სამეურნეო საქონლის გაზიდვის გასაადვილებლად;
12) წინასწარ საქმეთათვის.

1847—1907 წ. ე. ი. 60 წელიწადში სულ გაცემული იყო 18.093.802 გირ. სტერ. ანუ 175 მილ. მანეთი. წლების მიხედვით ეს ფული ასე იყო გაცემული:

| | გირ. სტერ. |
|---|---|
| 1847—1872 წ.წ. | 10.178.067 |
| 1873—1882 „ | 3.785.288 |
| 1872—1892 „ | 2.290.158 |
| 1893—1902 „ | 1.211.761 |
| 1903—1907 „ | 628.528 |
| სულ | 18.093.802 |

ამ ფულიდან მხოლოდ დრენაჟში დაიხარჯა:

| | გირ. სტერ. |
|---|---|
| 1847—1872 წ.წ. | 7.381.049 |
| 1873—1882 „ | 1.030.277 |
| 1883—1892 „ | 531.235 |
| 1803—1902 „ | 62.872 |
| 1903—1907 „ | 14.040 |
| სულ | 9.019.473. |

როგორც ციფრების ამ სვეტში სჩანს, რაც დრო გადის დრენაჟების ხარჯს აკლდება, ამავე დროს აკლდება საერთო სამელიორაციო ხარჯსაც (დაჰხედე ციფრების პირველ სვეტს). ამის მიზეზი არის ის, რომ ინგლისში, პირველ ხანებშივე იმდენი დრენაჟი გაკეთდა, რომ შემდეგ გასაკეთებელი ბევრი აღარა დარჩა რა და ფულსაც ცოტას იძლეოდნენ.

როგორც ვსთქვით, კერძო კამპანიები უფრო მეტს სესხს იძლევიან ვიდრე მთავრობა. მაგ. 1900—1907 წ., ნება დართული იყო 1806 სესხის გაცემა. აქედან 1674 სესხის გაცემის უფლება კომპანიებმა მიიღეს, 132 კი კერძო პირებმა.

**გერმანია.** თუ ინგლისში სამელიორაციო სესხს კერძო კომპანიები იძლევა, გერმანიის სახელმწიფოებში იმავე სესხისათვის სპეციალი სამელიორაციო ბანკებია დაარსებული. ბანკების შესანახ ხარჯს მთავრობანი ეწევიან. საოპერაციო ფულს კი სპეციალ ობლიგაციების შემწეობით ჰშოულობენ. გერმანიის სამელიორაციო ბანკები სესხს იძლევიან მხოლოდ მელიორაციებისათვის, ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით.

პირველად ასეთი ბანკი დაარსდა 1861 წ. **საქსონიაში.** პირველ ხანად ეს ბანკი მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო მელიორაციებში აძლევდა სესხს, 1872 წ. კი ისეთ მელიორაციებში, რასაც საზოგადო მნიშვნელობა აქვს და აგრეთვე გზების გასაყვანად.

1862—1907 წ. გაცემული იყო 35.801 სესხი, სულ 49.427.799 მარკა და 60 პფენ.

ჭაობთა დასაშრობად და სარწყავად გაიცა 3096 სესხი 14.450.935 მარ. 20 პფ.

გზების გასაყვანად გაიცა 1781 სესხი 33.651.044 მარ. 80 პფ.

ნიაღვართა წარსამართად გაიცა 59 სესხი 1.325.819 მარ. 60 პფ. სულ 49.427,799 მარ. 60 პფ.

წლობით ეს ფული ასე იყო გაცემული:

| | | |
|---|---|---|
| 1862—1887 | გაიცა 12.452.037 | მარკა. |
| 1887—1897 | „ 12.826.806 | „ |
| 1897—1907 | „ 24.148.956 | „ |
| | სულ 49.427.799 | მარკა. |

**ბავარია.** აქ ბანკი იძლევა სესხს შემდეგ საქმეებში:

1884—1907 წლ. გაცემული იყო:

1) დაშრობასა და მორწყვაში 841 სესხი 3.231.784 მარ. 79 პფ.

2) მდინარეთა წარმართვისა და სანაპიროების გამაგრებაში—177 სესხი

3) მამულების მოფარგვლაში—31 სესხი 119.661 მარ. 80 პფ.

4) მინდვრების გაუმჯობესობებ.—93 სესხი 192.055 მარ.

5) ტყის გაშენებაში—25 სესხი 93.690 მარ.

6) ვენახების გაშენებისა და გაუმჯობესობაში—1 სესხი 4.000 მარ.

7) ხეხილის გაშენებაში—11 სესხი 13.695 მარ.

8) მეთევზეობისათვის შენობების ასაშენებლად 1884—1907 წ.—28 სესხი 56.745 მარკ.

9) გზების გაყვანაში სოფლის მეურნეობისა და მეტყეობისათვის—129 სესხი 1,458,256 მარკა.

10) წყლის გასაყვანად—794 სესხი 20,623,137 მარ. სულ 2094 სესხი 27,164,382 მარ. 11 პფ.

ამ ციფრებს რომ დავაკვირდეთ, დავინახავთ, რომ სესხი უმეტესად საწყლო მეურნეობაში უძლევიათ. ეს ფული წლობით ასე იყო გაცემული:

| | | |
|---|---|---|
| 1884—1888 | 374,306 | მარ. |
| 1889—1893 | 1,364,782 | „ |
| 1894—1894 | 2,444,744 | „ |
| 1899—1903 | 9,621,298 | „ |
| 1904—1907 | 13,359,251 | „ |
| სულ 23 წ. განმავლობ. | 27,164,382 | „ |

**პრუსია.** აქ სამელიორაციო ბანკები ცოტაა. ასეთი ბანკების დაარსების უფლება მიეცათ პროვინციებს 1879 წ. კანონის ძალით. ამ რიგად იქ ბანკები მთავრობისა კი არ არის, არამედ პროვინციებისაა. ეს ბანკები თანხას იძლევიან: 1) დრენაჟისათვის, სარწყავებისათვის, ტყის გასაშენებლად, გზების გასაჭრელად, ახალ მეურნეობის დასაარსებლად; 2) ნაპირების გასამაგრებლად; 3) აუზების გასამართავად, ხევების და ნიაღვრების წარსამართავად, მდინარეების გასაღრმავებლად სანაოსნოდ პრუსიის ბანკები გაცილებით ნაკლებს ჰხარჯავენ, ვიდრე ბავარიისა.

**ავსტრია.** სამელიორაციო კრედიტისათვის სპეციალი დაწესებულებანი არ არის. ამის მაგივრობას ავსტრიაში საადგილ-მამულო ბანკები ეწევიან. უმეტესად გალიციისა და ბოჰემიისა. **გალიციის** ბანკმა მელიორაციებს დიდი ყურადღება არ მიაქცია. 1896—1907 წ. სამელიორაციოდ მან გასცა მხოლოდ 46,339 კრონი, **ბოჰემიის** ბანკმა კი ბევრი გააკეთა. 1890—1907 წ. მან გასცა 33,880,503 კრონი. ეს ბანკი მთავრობის დაწესებულებათა დახმარებით სამელიორაციო სმეტებსა და გეგმებს ჰსინჯავს და ასწორებს, ფულს იძლევა იმავე საქმეში, რაშიაც იძლევა საქსონიის ბანკი.

**3) სამელიორაციო ამხანაგობანი.**

**პრუსია.** 1846—1866 წ.წ. დაარსდა 265 დამშრობი და მომრწყავი ამხანაგობა და სანაპიროთა გამამაგრებლად 94 კავშირი. 1881—1887 წ.წ. დაარსდა 516 სამელიორაციო ამხანაგობა და გააუმჯობესეს 205,461 ჰექტარი მიწა. ამ საქმეში დაიხარჯა $12^{1}/_{2}$ მილიონი მარკა.

1880 წ. გამოანგარიშებული იყო, რომ ოპპელის ოლქში მელიორაციები სჭირია 46,788 ჰექტარს. ამიტომ 1881—1898 წ. მთავრობის დახმარებით დაარსდა 222 სამელიორაციო ამხანაგობა: მელიორაციები 24.205 ჰექტრზე გაკეთდა და 6 მილ. მარკა დაიხარჯა.

**ბავარია.** 1852—1882 წ. დაარსდა 1710 სამელიორაციო ამხანაგობა 70,000 ჰექტრზე, დაიხარჯა 6 მილიონი მარკა.

1884—1888 წ. დაარსდა 314 საწყლო ამხანაგობა.

1891—1896 წ. გინზრახული იყო 385 ამხანაგობის დაარსება. ხოლო 1897—1902 წ. იქ სულ იყო 686 სამელიორ. ამხან.

**ავსტრია.** 1891 წ. იყო 379 საწყლო ამხანაგობა (ამათში 59 ის ამხანაგობაა, რომლებთა დაარსების დრო აღარ ახსოვთ).

1870 წელს გაჩნდა 87 სამელიორაციო ამხანაგობა; 1871—1891 წ. 233.

**ბოჰემია.** მხოლოდ 1097 წ. სამელიორალო—სატეხნიკო ბიუროს 295 საწყლო ამხანაგობასთან ჰქონდა საქმე. იმავე წელს საწყლო მელიორაციებში 2.868.000 კრონი დაიხარჯა:

საწყლო ამხანაგობათა მიწებზე 2.400,000 კრონი ანუ 83%.

სათემო მიწებზე 334,000 კრონი ანუ 11%.

კერძო პირთა მიწებზე 134,000 კრონი ანუ 6%.

**იტალია.** 1880 წელს იყო 882 საზოგადოება ჭაობთა დასაშრობად, მათი მოქმედება ჰფარავდა $1^{1}/_{2}$ მილ. ჰექტ. მიწას. ეს მიწები 291 ათას მესაკუთრესი იყო.

**4) სატეხნიკო დახმარება.**

**ინგლისი.** სატეხნიკო დახმარებას ხალხს განსაკუთრებული მოხელენი უწევენ.

**პრუსია.** სამელიორაციო სამუშაონი სამიწად-მოქმედო სამინისტროს ხელშია. სამინისტროს აქვს 30 სამელიორაციო-სატეხნიკო ბიურო. ბიუროებს სათავეში უდგას 12 უმაღლესი მოხელე და 28 ინსპექტორი. ბიუროების შენახვაში იხარჯება 1.404,000 მარკა. ყოველ წლიურად გადადებულია 517,000 მარკა ახალ საქმეთა გამოსაკვლევად.

**ბავარია.** სატეხნიკო ბიურო 1852 წლიდან არსებობს. სათავეში უდგას ეგრედ წოდებული „ლანდესკულტურინჟენერი“ მას ექვემდებარება სრულიად ბავარიის სამელიორაციო-საკულტურო საქმე. შემდეგ არის საოლქო-სატეხნიკო ბიუროები, სათავეში უდგათ „კრაისკულტურინჟენერი; შემდეგ არის უფრო მცირე

*) იხ. „სახ. გაზ.“ № 939.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და იყოს, ოღონდ ამ მდგომარეობას მოვშორდეთ"!.. მკითხველმა იცის გ. არაგვისპირელის ამბის ბოლო. სანდრომ ბოლოს მაინც განიცადა მიხოს განცდა, იგრძნო საშინელება მიხოს და საერთოდ ყველას ჩვენის ცხოვრებისა, ცეცხლი მოედვა, ლოგინად ჩავარდა და რამდენიმე დღეს სიკვდილს ებრძოდა. წინად თუ უცხო, გაუგებარი, შეუთვისებელი იყო მისთვის ჩვენი ყოფის საშინელება, ბოლოს მაინც იგრძნო იგი და ეს მისი უდიდესი გამარჯვებაა, აღდგენაა!

საშინელებაა ჩვენი დღევანდელი ცხოვრება, მაგრამ ეს საშინელება დასაძლევია! მხოლოდ უფრო დიდი საშინელება ისაა, როცა არ განვიცდით ამ საშინელებას. მიხო—ჩვენი ხალხის გული—სავსებით განიცდის აწმყოს ვაებას; განიცდიან ამას ჩვენი განათლებულები, ჩვენი ინტელიგენტები?...

არიან ჩვენში სანდროები? ესმით ტანჯვის ხმა? **სიტყვა.**

## ტფ. ქართველ ქალთა საზოგადოება

ქართულ საკულტურო დაწესებულებებს კიდევ ერთი საზოგადოება მიემატა. ტფ. გუბერნატორმა დაამტკიცა ტფილისის ქართველ ქალთა საზოგადოება. ჩვენ ფრიად საყურადღებოდ მიგვაჩნია ეს გარემოება და სასიამოვნოდაც. ამიტომ ორიოდე სიტყვით გვსურს შევეხოთ ქალების მდგომარეობას ჩვენში და იმ მიზანს, რომელსაც უნდა ემსახურებოდეს ქართველ ქალთა საზოგადოება.

ამ საზოგადოებას თავისი ისტორიაც აქვს. ყველას გვახსოვს, რომ დამფუძნებელ კრებაზე ორგვარი მიმართულება გამოიხატა. პირველი მიმართულების მიმდევარნი ამტკიცებდნენ, რომ დამოუკიდებელ საზოგადოების დაარსება საჭირო არ არის, რადგან შეიძლება ქართველი ქალები კავკასიის ქალთა საზოგადოებაში შევიდნენ, წევრებად და ავტონომიურად იმუშაონო. მეორენი კი იმ აზრისა იყვნენ, რომ საჭიროა სრული დამოუკიდებლობაო. ამ უთანხმოების გამო ზოგიერთი ქართველი ქალი ახალ საზოგადოებას ჩამოსცილდა და კავკასიის საზოგადოებაში გადავიდა, მხოლოდ ჩვენთვის სრულიად გაუგებარია პირველთა მოქმედება მაშინ თუ ისინი მართლა სექციის ავტონომიურად მოქმედებას მოითხოვდნენ. ავტონომიურ მოქმედების მოთხოვნა შეიძლება იქ, სადაც დამონავებული ხარ და თუ დამოუკიდებლობის არა, ცოტა თავისუფლების მიღების იმედი მაინცა გაქვს. მეორეს მხრით, გარდა პოლიტიკური თანასწორობისა, არა მგონი, რომ საერთოდ კავკასიის ქალებსა და ქართველ ქალებს შორის ბევრი ერთგვარი მიზანი და საერთო რამ იყოს. მესამე მხრით, ჩვენ გვაოცებს ერთი გავლენა: ყველგან, სადაც კი გნებავთ; პოლონეთში, ფინლანდიაში თუ სხვაგან ცდილობენ თავიანთი საქმე როგორმე თვით გააწესრიგონ, თითონვე შექმნან ამის პირობები, ჩვენში კი უეჭველად სხვას უნდა შევყურებდეთ, სხვის ფრთის ქვეშ უნდა შევაფაროთ თავი, თითქოს ამით აღვიარებთ, რომ ჩვენ მოუმზადებელნი ვართ და გვეშინია, ჩვენს საქმეს თვით ჩვენ ვერ გაუძღვებითო. ასეთი შთაბეჭდილება მოახდინა ზოგიერთ ქართველ ქალებისაგან დამოუკიდებელ მოქმედებაზე უარის თქმამ. ჩვენ, რასაკვირველია, იმის მომხრენი არა ვართ, რომ ამ საზოგადოებამ კარები ჩაიკეტოს და არავისთან კავშირი არ იქონიოს, პირიქით, სასურველია, რომ მათ ისე წაიყვანონ საქმე, რომ ყველა ერის ქალებთან ჰქონდეთ დამოკიდებულება და ყველა ერის ქალთა საზოგადოებები ანგარიშს უწევდნენ მას, მაგრამ სანამ ამას მიაღწევდეს ნორჩი საზოგადოება, მას ძლიერ ბევრი წინასწარი სამუშაო აქვს. უპირველეს ყოვლისა არ უნდა დაივიწყონ ის მიზანი, რომლისათვისაც საზოგადოება დაარსდა. რასაკვირველია, მამაკაცთა თანასწორ პოლიტიკურ უფლებათა მოპოვება მათი საქმეა, მაგრამ კერძოდ ქართველ ქალებს სხვაც ბევრი სამუშაო აქვს. უწინარეს ყოვლისა ქართველ ქალის გონებრივ განვითარების წინ წაწევა, ხელმოკლე ქართველ გოგონების სწავლა-აღზრდის საქმე და სხვა, მრავალი. მათ უნდა ახსოვდეთ აგრეთვე ქართული ოჯახი. ეს ისეთი საკითხია, რომელსაც განსაკუთრებით ქართველი ქალი გვერდს ვერ აუვლის. თუ წარსულში ქართველი ქალი დიდებისა და თაყვანისცემის ღირსი იყო, ერთი უმთავრესი მიზეზი ამ დიდებისა ქართველური მეოჯახეობა იყო. ქართველი ქალები ჰქმნიდნენ შინაურ ცხოვრებას, ისინი ულოლიავებდნენ ქართულ ენას, ზნე-ჩვეულებათ, ისინი ეუბნებოდნენ იავნანას იმ ქართველ პირმშოებს, რომელთაც შექმნეს საქვეყნო კულტურა და ათასი წლობით მედგრად ებრძოდნენ აზიის უკულტურო ბრბოებს ჩვენი კულტურის დასაცავად. ეხლა ასეთი ოჯახი აღარ მოგვეპოვება. ყოველგვარ საკმაზით შეწაზავები ჩვენი ოჯახები ყველაფერს წარმოშობენ, გარდა ქართველობისა; ძნელია ისეთი ქართული ოჯახის მოპოვება, სადაც გადაგვარების ნიშნები არ სჩანდეს. ქალაქებში კი ქართველი ქალები თვისტომობასაც თაკილობენ. თუ წარსული ქართველი ქალებისა ბრწყინვალე იყო, არა ნაკლები უნდა გახდეს მომავალიც. ქართველ ქალებს შეუძლიანთ დაგვიბრუნონ ისევ ოჯახებში ქართული ენა და ქართული კულტურა. მათი აღზრდა-განათლებისაგან არის დამოკიდებული ქართველთა მომავალი თაობის სიკეთე. შეიძლება ბევრმა გულში გაიფიქროს: „ჩვენ ოჯახობრივ მონობისაგან განთავისუფლებასა ვცდილობთ და ეს კი რას გვეუბნებაო". მაგრამ შემცდარი იქნება ის აზრი, ვითომც ოჯახობრივი მოვალეობის დავიწყება, ვისმე სიკეთედ ჩაეთვლება. პირიქით, ჩვენს მდგომარეობაში ისტორია უმადურად მოიხსენებს მათ. ამჟამად ისეთი პირობებია, რომ ოჯახების დაცვა მათ ხელს არ შეუშლის სხვა კულტურულ მუშაობაში. მაგალითებისათვის შორს არა გვჭირია წასვლა: განა ოსმალოს ქალებს ხელი შეუშალა ჰარამხანის მონობამ საერთო, საქვეყნო საქმისათვის სამოღვაწეოდ? ქართველი ქალების თავისუფლება ხომ ამ მხრივ არც კი შეიძლება ოსმალოს ქალების მდგომარეობას შეედაროს.

ვიმედოვნებთ, რომ ნორჩი საზოგადოება გაიფურჩქნება, მისი დაწყებული საქმე გაიზრდება, გაფართოვდება და მთელ საქართველოს მოედება; ყოველი ქართველი ქალი მოვალეა ამ საზოგადოებაში თვისი წვლილი შეიტანოს, ცოდნით, თუ სხვა რამ გზით. და, თავის კერძო მიზანსაც ემსახურონ, ხოლო ნუ დაივიწყებენ, რომ უპირველესად ყოვლისა, იგინი ქალები კი არა ადამიანები არიან. **კორდელი.**

ერთეული სათემო ბიუროები, მათაც თავისი ინჟინრები ჰყავთ.

საოლქო და სათემო კულტურა ინჟინრების მოვალეობაა:

ა) წაქეზება სოფლის მცხოვრებთა მელიორაციების გასაკეთებლად და საქმეში დახმარების აღმოჩენა,

ბ) სამელიორაციო პროექტების შედგენა,

გ) თვალ-ყურის დევნება და ხელმძღვანელობა ამ პროექტების განხორციელის დროს,

დ) მუდმივი კონტროლი უკვე არსებულ მელიორაციათა,

ე) დახმარება მდინარეებზე თვალყურის დევნების დროს,

ვ) მელიორაციათა სტატისტიკის წარმოება,

ზ) სამელიორაციო საკითხებში რჩევის მიცემა მთავრობის დაწესებულებებს, სასოფლო-სამეურნეო კავშირებს და კერძო პირთ.

1903 წლის ბოლოს სამელიორაციო-სატეხნიკო ბიუროებში მსახურებდნენ:

8 საოლქო ინჟინერი

15 სათემო ინჟინერი

18 მემინდვრე და სხვა.

60 თანაშემწე ყველა ამათი.

მთელს ბავარიაში თითო კულტურ-ინჟინერის წილად მოდის—საშუალოდ—1470 კვად. ვერსი. 1897—1902 წლამდის სატეხნიკო ბიუროებზე წელიწადში იხარჯებოდა 168 ათასი მარკა, 1903 წელს კი გადადებული იყო 300.000 მარკა (140.000 მან.).

ბიუროების შემწეობით გაკეთდა:

1895—1904 წ. წელიწადში საშუალოდ 852 მელიორაცია 8467 ჰექტარ მიწაზე დაიხარჯა 882 ათასი მარკა.

1905 წ. გაკეთდა 1204 მელიორაც. 10.468 ჰექტარ. მიწ. დაიხარჯა 2.807 ათასი მარკა.

1906 წ. გაკეთდა 1398 მელიორაც. 11.577 ჰექტარ. მიწ. დაიხარჯა 1.746 ათასი მარკა.

1898 წ. მიუნჰენში დაარსდა საჰიდრო-ტეხნიკო ბიურო, რომელიც შინაგან სამინისტროს ექვემდებარება.

1900 წ. დაარსდა საჭაობო ბიურო 1895—1902 წ. ბიურომ დაჰხარჯა 244.530 მარკა. ეს ბიურო წინედ კერძო იყო. შემდეგ მთავრობის ხელში გადავიდა.

**ბოჰემია.** 1878 წ. დაარსდა წყლის გამყვანი ბიურო. 497 მელიორაცია გააკეთა და 30 მილ. მარკა დაჰხარჯა.

სატეხნიკო ბიუროს 6 განყოფილება აქვს და 1907 წელს 28 კაცი ჰმსახურებდა.

1885—1889 წ. ბიურომ გააკეთა 26 მელიორაცია და დაჰხარჯა 1.261.962 კრონი.

1890—1894 წ. ბიურომ გააკეთა 80 მელიორაცია და დაჰხარჯა 1.437.794 კრონი.

1895—1899 წ. ბიურომ გააკეთა 120 მელიორაცია —დაჰხარჯა 5278028 კრონი.

1900—1904 წ. ბიურომ გააკეთა 595 მელიორ.—დაჰხარჯა 13.708.150 კრონი.

1905—1907 წ. ბიურომ გააკეთა 688 მელიორ.—დაჰხარჯა 12.706.222 კრონი.

**ავსტრია.** სამელიორაციო-სატეხნიკო ბიუროები მხოლოდ ზოგ პროვინციაშია.

იმის საჩვენებლად, თუ სად რა სარგებლობა მოაქვს მელიორაციებს, აქვე მოყვანილი ციფრებიც საკმარისია:

| | ერთ ჰექტარზე. | |
|---|---|---|
| | მელიორაციამდის: | მელიორაც. შემდეგ: |
| [illegible] მინდვრების სიტყვით: ხორბალი . . | 30 ბუშელი. | 42 ბუშელი. |
| ჭარხალი . . | 150 მეტ. ცენტ. | 325 მეტ. ცენ. |
| კართოფილი . | 100 " | 175 " |
| [illegible] 399 ჰექტარი. | | |
| [illegible] მინდვრების სიტყვით: ხორბალი . . | 16 ბუშ. | 48—50 ბუშ. |
| [illegible] მინდვრების სიტყვით: ხორბალი . | 28 ბუშ. | 35 ბუშ. |
| ჭარხალი . | 160 მეტ. ცენტ. | 210 მეტ. ცენ. |
| მინდვრების სიტყვით, ერთ ჰექტარზე დაიხარჯა 740 კრონი და მოიყვანეს: ხორბალი . . | 20 ჰექტ. | 35 ჰექტ. |
| შვრია . . . | 22 " | 37 " |
| ქერი . . . | 30 " | 50 " |
| ჭარხალი . . | 180 " | 300 " |

როგორც ვხედავთ, ევროპაში დიდძალი ფული დახარჯულა მელიორაციებში. ამ ფულს ქართველები, სიზმრადაც ვერა ვნახავთ, მაგრამ მუდამ შეგვიძლიან იმედი შევაგროვოთ, რომ 10—15 წელიწადში თუ საქმე კარგად ვაწარმოვეთ, ჩვენს მეურნეობას წელი მოვუმაგროთ და ესეც დიდი საქმე იქნება. მხოლოდ საჭიროა სურვილი, მუშაობა.

**ი. ტ—შვილი.**

## გაზაფხულზე

### მარტო.

კაცთ ქალ-ტყვედ დამასადგურა
ცხოვრების აგრე ტრიალმა,
ვერც დღემ დამიხსნა, ვერც ღამემ,
ვერც განთიადმა, ტიალმა.

ვერცა სურვილმა საგმირომ
დაისკვნა გზა და სავალი...
ვინ იყოს ჩემი მკურნალი!
რა იყოს ჩემი წამალი?

აი, გაზაფხულს ბუნებამ
უბოძა ჯილდო გრძნეული,
გული აღმიძრა, მიმიხმო,
მიმიხმო ტყვე და სნეული—

მითხრა: „რად გინდა კეკლუცად
„ია გეკიდოს გულზედა?—
„ია მინდორსა ჰყვაოდეს,
„მუზა—მგოსნისა წყლულზედა.

### მაჯამა.

სთქვა მგოსანმა: გაზაფხულზედ ვარდი არვინ მომაწოდა!
ვარდის მონას ტყვეობაში გულსა სევდა მომაწო და
თეთრი ვარდი მოგეტანა—მშვიდობა და ნეტარება!
თეთრი ვარდი, თეთრი ვარდი! მას ეკალი ნეტ არ ება.
ეკალი და ვარდი თეთრი მგოსნის გულში ასვენია!
კეკლუცია გაზაფხული, ფერადი მკერდზე ასვენია,
ამოშლილან ბილილები, ბალახები მკურნალობის,
მაგრამ, აბა, მგოსნისათვის ვით შეიქმნენ მკურნალ ობის?!

**ბაბილინა.**

## მუშათა ცხოვრება

### პეტერბურგი.

✦ ფენიქსის ქარხნის მუშებმა გაიგეს, რომ მუშა ტ. ადმინისტრაციამ დაითხოვაო. მუშებმა მოლაპარაკება გაჰმართეს ადმინისტრაციასთან და სთხოვდნენ ტ. უკანვე მიეღო. ადმინისტრაციამ უარი სთქვა, რის გამო მუშები გაიფიცნენ.

✦ ბეკერის ქარხანაში გაფიცვა დასრულდა. გაფიცვამ 11 დღე გასტანა. მუშების მოთხოვნილება დაკმაყოფილებულია.

✦ 5 ივლისს მოხდა კრება ლესნერების ქარხნების მუშებისა. კრებაზე მუშებმა განიხილეს ადმინისტრაციის წინადადება: წარუდგინონ ადმინისტრაციას დამამტკიცებელი საბუთები იმისა, რომ ხელოსანი ლაული დამნაშავეა მუშა სტრონგინის სიკვდილში. მუშებმა საჭიროდ სცნეს ასეთი საბუთები შეაგროვონ და წარუდგინონ. ხოლო გაფიცვა კი უნდა გაგრძელდეს.

✦ 3 ივლისს გაანთავისუფლეს ციხიდან და სამი დღის განმავლობაში იგზავნებიან ქალაქიდან 12 კაცი, რომელნიც დაჭერილნი იყვნენ 19 ივნისს ღამე. აგრეთვე განთავისუფლებულია და იგზავნება მკერავთა საპროფესიო საზოგადოების წევრი ს. კიტაგინი. ყველა ამ 13 კაცს მე 57 მუხლის ძალით აკრძალული აქვთ რუსეთის იმპერიის საზღვრებში ცხოვრება.

### მოსკოვი.

✦ ბუდის სტამბის მუშები გაიფიცნენ. სტამბაში 60—70 კაცამდე მუშაობდა.

✦ მიხაილოვის სამანუფაქტურო ქარხნის გაფიცულმა მუშებმა უარი სთქვეს მიეღოთ ანგარიშის გასასწორებელი წიგნაკები, ქარხნის ადმინისტრაციამ წიგნაკები სათანადო უბნის საპოლიციო მართველობას გადასცა მუშებისათვის ჩასაბარებლად.

✦ რალეს საპარფიუმერიო ქარხანაში, რომლის მუშებიც გაფიცული არიან, მუშაობს მხოლოდ 20 ქალი. მომუშავე ქალებს პოლიციელები სდარაჯობენ. მუშებში ხმა დადის, რომ გაფიცულ ქალებიდან რამოდენიმე დააპატიმრესო.

✦ ბელასტოკში გაფიცულან ბამბის სამანუფაქტურო ქარხნებში მომუშავენი. გაფიცვა ეკონომიურის ხასიათისაა.

✦ როგორც „თანამ. ქვეყანა" გადმოგვცემს ჭიათურაში. შაბათს, 6 ივლისს შუტელის ფირმამ დააკმაყოფილა მუშების მოთხოვნილება და უკანასკნელებმაც ხსენებული ფირმის მაღაროებში და ვაგონებზე განაახლეს მუშაობა. პირველ დღესვე დატვირთეს 10 ვაგონი.

იმავე დღეს, საღამოს ხელი მოაწერეს მუშების მოთხოვნილებაზე აგრეთვე ჩილინგარიანის, გილერტის, წერეთლის და ჯავახიშვილკურნაროს ფირმებმა. დანარჩენ ფირმებში კი, ჯერ-ჯერობით გაფიცვა გრძელდება.

## სასამართლო

### სტ. კირო გელოვანის გასამართლება.

13 ამ თვეს ტფილ. სამოსამართ. პალატაში განსახილველად დანიშნულია პოლიტიკური საქმე სტუდენტის კირო გელოვანისა, რომელიც სამართალში მიცემულია 102 მუხ. 1 ნაწ. ძალით; მას ჰბრალდება 1905—06 წ.წ. განმანთავისუფლებელ მოძრაობაში მონაწილეობა (თელავის ს. დ. კოლექტივის წევრობა). ეს საქმე პირველად შარშან გაირჩა. მთელ საქმეში კ. გელოვანის წინააღმდეგ არაფერი აღმოჩნდა, მხოლოდ აწ განსვენებულს, საუფლისწულო მამულების მოიჯარადრეს, ალექო დემუროვს, წინასწარ გამოძიების დროს ეჩვენებინა—საუფლისწულო მამულებში გაფიცვების დროს გლეხებს რომ ვამუშავებდი, ჩემთან სამი კაცი მოვიდა, რომელნიც სოც.-დემოკრ. ორგანიზაციის სახელით გამომიცხადეს—გაფიცვას რად ეწინააღმდეგები, ხალხს რად ამუშავებო და მუშაობის შეწყვეტა მთხოვესო. ამასთანავე დაესახელებინა სამთაგანი ერთი, ავაქოვი. პირველ განსამართლების დროს აღმოჩნდა, რომ ვითომც ავაქოვს „ოტზივი" შეეტანოს სასამართლოში—ეგ სიტყვები („გაფიცვას რად ეწინააღმდეგები, გაფიცულთ რად ამუშავებო") კირო გელოვანმა მითხრაო. სწორედ „ოტზივის" შემდეგ დააპატიმრეს გელოვანი. სასამართლოში გამოირკვა, რომ „ოტზივი" პირადად ავაქოვის დაწერილი არ იყო, თვით სასამართლომაც ბრალდებულს ნება არ მისცა კ. გელოვანის წინააღმდეგ საბუთად ის „ოტზივი" ეხმარნა, და ამგვარად გაბათილებულ იქმნა იგი; დამტკიცდა ისიც, რომ მოიჯარადრე ალექო დემუროვს პირადის მტრობით ეჩვენებინა წინასწარ გამოძიების დროს. ამასთანავე გამოირკვა, რომ იმ დროს, რა დროსაც ვითომც ეს ამბავი მომხდარიყოს, კ. გელოვანი მცირე წლოვანი იყო და მოწმენი, თვით ბრალდებულისაგანაც გამოწვეულნიც კი, კ. გელოვანის სასარგებლოდ აჩვენებდენ, როგორც ეს უკვე აღნიშნული იყო ჩვენს გაზეთში. მიუხედავად ამისა, ტფილ. სამოს. პალატამ კირო გელოვანს სამუდამოდ ციმბირს გადასახლება გადაუწყვიტა. გელოვანის ვექილმა და თვით გელოვანმა პალატის განაჩენი სენატში განასაჩივრეს. სენატმა პალატის განაჩენი დაარღვია და საქმე ხელ-ახლად გასარჩევად დააბრუნა. ეს საქმე, კვლავ შაბათს, 13 ივლისს, გაირჩევა პალატაში წოდებათა წარმომადგენლების მონაწილეობით: თავ.-აზნ. მხრით დაესწრობა თ.-აზ. წინამძღოლი თ. აბხაზი, ქალაქის მხრით ტფილისის თვითმართველობის საბჭოს წევრი გ. დ. ჟურული, გლეხთა მხრით—სოფლის მამასახლისი და სხვა მოსამართლენი.

## მოწერილი ამბავი

**ზემო სვანეთი.** ძლიერ ცუდ მდგომარეობაშია სწავლა განათლების მხრივ სვანეთი, განსაკუთრებით კი ეგრედ-წოდებული თავისუფალი სვანეთი. ქართული ენის საქმე სკოლებში თითქმის გამოთიშულია. ნაბრძანებია განსაკუთრებული ყურადღება რუსული ენის შესწავლას მიექცეს. ამ დროს კი ყველა სვანს ძლიერა სწადიან ქართული ენის დაბეჯითებით შესწავლა და შესისხლხორცება; ლაპარაკით კი ყველა სვანი ქართულს კარგად ლაპარაკობს. იფარის საზოგადოებაში ძალიან ბევრნი არიან ისეთნი, რომელთაც ქართული წერა-კითხვაც კარგად იციან და დიდის სიამოვნებით ჰკითხულობენ და იზეპირებენ ქართულ ნაწერს მაგრამ სადაა ილიასი, აკაკის და სხვა ჩვენი პოეტების დამატკობელი ნაწარმოებნი? ვის მიუქცევია სვანების სულიერი მოთხოვნილებისათვის ჯეროვანი ყურადღება, რომ წიგნები მოეწოდებია? დროა მიექცეს ამ გარემოებას ყურადღება. სვანები ქართველები არიან და დიდის სიყვარულით ეკიდებიან ყველაფერს ქართულს. ბევრჯერ გამიგონია სვანების ნატვრა: „ვაი ერთი ველირსებოდეთ, რომ აქ სამკითხველოსთან ბიბლიოთეკას გაგვიხსნიდენო". მართლაც ზემო-სვანეთში ქართული სამკითხველოს დაარსება ერთ უსაჭიროესს საქმეს წარმოადგენს. ეს ერთად ერთი ნუგეში იქნება სვანეთში და დიდ ნაყოფსაც მოიტანს. რასაკვირველია თვით მცხოვრებლებისაგან დახმარების მიღება ძნელია, რადგან არავის არა-რა გააჩნია, მხოლოდ აქაური მღვდელი მამა გიორგი ბიბლიოთეკა-სამკითხველოსათვის დაგვპირდა ერთს ოთახს, თუ კი რამე მოხერხდება. გარდა ამისა როგორც ოთახისა, ისე მოვლის საქმეს ჩვენ თითონ ვიკისრებთ მხოლოდ ძლიერ კარგი იქნებოდა, რომ ვინმე წიგნებითა და ჟურნალ-გაზეთებით დაგვეხმარებოდეს. ამას, რასაკვირველია, ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება თუ იკისრებს. ძლიერ კარგი საქმე იქნება ეს ჩვენთვის და იმ საზოგადოებისათვისაც რომლის მიზანია ხალხში წერა კითხვის გავრცელების საქმე.

**აქაური მასწავლებელი.**

## რუსეთი

### ეპისკოპოსი სამართალში.

როგორც გაზ. „დენ"-ი გადმოგვცემს, მოკლე ხანში გაირჩევა ძლიერ საინტერესო საქმე: ცილისწამებისათვის ერთ კაცს სამართალში მიუცია ეპისკოპოსი. კიშინევის არქიეპისკოპოსი სერაფიმე თავის ეპარქიის ათვალიერებდა თურმე. ეპისკოპოზს საზეიმო ნადიმებს უმართავდნენ ეპარქიაში და ერთ ასეთ ნადიმზე არქიეპისკოპოზს სიტყვა ჩამოუგდია ისეთ ადამიანზე, რომელიც მას არ მოსწონს და სხვათა შორის უთქვამს, რომ იმ კაცს მალე პეტერბურგიდან გააძევებენო. ნადიმის ერთს დამსწრეთაგანს შეუტყობინებია ამ პირისათვის არქიეპისკოპოზის სიტყვები. ამ პირსაც არქიეპისკოპოსი სამართალში მიუცია, მაგრამ ვინ გაასამართლებს არქიეპისკოპოზს, არ იციან.

### სიკვდილის რაოდენობა.

პეტერბურგის ქალაქის სასტატისტიკო ბიუროს შედარებით გამოუკვლევია სიკვდილის რაოდენობა რუსეთში და უცხოეთში. 1000 კაცზე ამსტერდამში მომკვდარა—10 კაცი, ლონდონში და ბერლინში—11, სტოკჰოლმში და ნიუ-იორკში—12, პარიზში, ბრიუსელში, კოპენჰაგენში, ვენაში — 14, ვარშავაში — 17, ოდესაში—19, ბუდაპეშტი—21, პეტერბურგში—22 კაცი.

### რედაქტორის წვალება.

როგორც „რუსკ. ვედ". კიევიდან ატყობინებენ, 3 ივლისს, კიევში დაუპატიმრებიათ გუბერნატორის განკარგულებით ჟურნალ „ოგნი"-ს რედაქტორი ქალი ო. პ. პროხასკო. პროხასკოს ან 300 მ. უნდა გადაეხადა ან ორი თვე ციხეში მჯდარიყო. ჯარიმა დაადვეს ისეთი ცნობის გადმობეჭდვისათვის, რომლისთვისაც პირველად დამბეჭდი არ იყო დაჯარიმებული. დაჯარიმების წინად პროხასკოს წინადადება მიეცა, რომ თუ იგი კიევის პოლიციის საწინააღმდეგო ცნობებს არ მოათავსებს ჟურნალში, არამც თუ დევნას, არამედ პატრონობასაც გაუწევენ, მაგრამ ქ. პროხასკომ ეს წინადადება უარჰყო და შემდეგ ნუმერში კიდევ შეეხო კიევის პოლიციას. პროხასკოს შეატყობინეს: რადგანაც არ დასთანხმდით წინადადებას, ჯარიმის მაგიერ უკიდურესი სასჯელით დაგსჯიანო. ეხლა პროხასკო დაუპატიმრებიათ, მაგრამ ექიმს უთქვამს, რომ პროხასკოს ნერვები აქვს აშლილი და საპყრობილე მისთვის აუტანელი იქნებაო.

## ბალკანეთის მოკავშირეთა შეტაკება

(დეპეშ. პეტ. სააგენტოსაგან)

**9 ივლისი**

**სოფია.** ბულგარეთის სააგენტო იუწყება. 6 ივლისს სერბიელებმა და ბერძნებმა ყოველმხრივ იერიში მიიტანეს, მაგრამ დამარცხდნენ. 7 ივლისს სერბიელებმა მეხუთე იერიში მიიტანეს ბულგარელებზე, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწიეს, ბევრი დაჰკარგეს. ბულგარელები გამოუდგნენ გაქცეულ სერბიელებს. ბერძნების ორი დივიზია თავს დაესხა ბულგარელებს სტრუმიცისა და ვეჩევოს შუა. მოწინავე ჯარი მარტო ებრძოდა მტერს და არა თუ იერიში შეაჩერა თითონ მიიტანა საწინააღმდეგო იერიში ბერძნებზე, ბერძნები დაამარცხეს და გააქციეს, რომელნიც ბნელმა ღამემ გადაარჩინა სრული დამარცხებისაგან.

**ბერლინი.** ოსმალოს ჯარის მოქმედება ძალიან აინტერესებს სახელმწიფოებს; როგორც სააგენტოს კორესპონდენტს საგარეო საქმეთა სამინისტროში უთხრეს, ბერლინის პოლიტიკური წრეები აცხადებენ, რომ ოსმალეთის ნოტას არ შეუძლიან გააქარწყლოს ის შთაბეჭდილება, რომლის ქვეშ ეხლა იმყოფება ევროპა. ოსმალეთი შეგნებით იწყებს სახიფათო თამაშს, რისთვისაც არ აქვს არც ზნეობრივი უფლება და არც ძალა შესწევს.

**ათინა.** მთავრობა გზავნის ნიშში ერთ-ერთ მოხელეს სალენრლო შტაბისას ზავის შესახებ მოლაპარაკებაზე დასასწრებლად.

**სტამბოლი.** სასახლეში, სულთანის თავმჯდომარეობით, გაიმართა მინისტრთა საბჭოს თათბირი განიხილეს ბულგარეთისათვის ომის გამოცხადების საკითხი.

**ვენა.** ბულგარეთის საელჩო აცხადებს რომ, ცნობა, ვითომც მეფე ფერდინანდი ტახტიდან გადადგომას აპირებსო, სრულიად უსაფუძვლოა.

**ათინა.** საბერძნეთის წარმომადგე-

ნელებად საზავო მოლაპარაკებისათვის დაინიშნენ: პანასი, ყოფილი ელჩი სოფიაში და ეხლა კი გამგე საქმეთა სამინისტროს საპოლიტიკო განყოფილების უფროსი, ალექსანდროპული, ელჩი ბელგრადში, და მხედარი ფანგალო, სამხედრო წარმომადგენელი სერბიის ჯარის მთავარ-სადგომში. პანასი სალონიკით ნიშ წავიდა.

**სოფია.** გარეშე საქმეთა მინისტრი გენადიევი გამოვიდა ხალხის წარმომადგენელთა კრებაზე და მთავრობის სახელით განაცხადა, მთავრობის მიზანს შეადგენს: გამოიყვანოს სახელმწიფო არსებულ მდგომარეობიდან და ჩამოაგდოს საპატიო ზავი. რუმინიას მთავრობასთან მოქმედება არის დამამტკიცებელი ჩვენი გადაწყვეტილებასა; ვისარგებლოთ უფრო არსებულ ღონისძიებებით და ამით შევასრულოთ ჩვენი მოქმედების გეგმა. რუმინიასთან შეთანხმების საკითხი კეთილად გადაწყვეტის გზას ადგია. მიხწეული მიზანი არ არის დავის დამასრულებელი, მაგრამ ახლო მომავალისათვის კარგი მომასწავებელია. მთავრობა დაიწყებს მოლაპარაკებას სერბიელებთან და ბერძნებთან და, რუსეთის წინადადებით, ჰგზავნის ორ წარმომადგენელს. შესახებ ზავისა, მინისტრი ამბობს, რომ მთავრობა გამსჭვალულია გულწრფელი სურვილით, ჩამოაგდოს პატივსაცემი ზავი; მოლაპარაკებისათვის ადგილი ჯერ გადაწყვეტით არ არის დანიშნული, იმის შესახებ, რომ რუმინიის მთავრობას ჰსურს მონაწილეობა მიიღოს ზავის შესახებ მოლაპარაკებაში, მინისტრი კმაყოფილებას აცხადებს და ამბობს, რომ მას სჯერა რუმინია, ბალკანეთზე ურყევ პოლიტიკურ მდგომარეობის დამყარების შეგნებით მიუდგომელად იმოქმედებს. გენადიევი მწუხარებით აღნიშნავს, რომ ბერძნებისა და სერბიელების ჯარმა კიდევ განიხილა თავდასხმა, მაგრამ ბულგარელების ჯარის შეურყეველი მდგომარეობა ჯეროვან წინააღმდეგობას უწევს მათ. „ამ ჯარს, ამბობს მინისტრი, მე ვუცხადებ სიყვარულს და მადლობას ყველას მაგიერ“ (ტაში).

**სტამბოლი.** გაზეთებს დაუშალეს დაბეჭდონ რამე როდოსტოს შესახებ. აუკრძალეს უცხო კორესპონდენტებს როდოსტოში მისვლა. ენვერ-ბეი გაიგზავნა იქ წესიერების დასამყარებლად.

ოსმალოს ჯარი შეიჭრა ფრაკიას შუა ქვეყნებში. დაატყვევეს 600 ბულგარელი და 9 მხედარი. სადგურ ჩერკესკიოზე დააკავეს სურსათის რამოდენიმე ვაგონი.

**ლონდონი.** რეიტერსატყობინებენ სოფიიდან, რომ ადრიანოპოლთან მიმოსვლა განახლებულია. ადრიანოპოლში ოსმალების შესვლა სიმართლეს მოკლებულია. ნამდვილად საქმე ასე იყო: ქალაქის მახლობლად გამოჩნდა ოსმალოს ცხენოსანი ჯარი ენვერ-ბეის სარდლობით, მაგრამ ჯარი მალე უკანვე წავიდა. იმ მოხელეებს რომელნიც სამსახურიდან გაიქცნენ მთავრობამ წინადადება მისცა, სამსახურიდან გავიდნენ.

**სოფია.** აუარებელ ოსმალოს ჯარმა იერიში მიიტანა ადრიანოპოლზე და წინადადება მისცა ქალაქს დამორჩილებოდა. უმნიშვნელო რიცხვი ბულგარეთის ჯარისა იძულებული გახდა ქალაქიდან გასულიყო. და ადრიანოპოლი უბრძოლველად დაენებებინა. 9 ივლისს ოსმალები შევიდნენ ქალქაში და საშინელი მხეცობა ჩაიდინეს. მცხოვრებლები გაიქცნენ ოსმალები დაედევნენ მათ და შეუბრალებლად ჟლეტდნენ. ასეთივე ამბავი მოხდა კირკილისეში, სადაც ბულგარელების პატარა რაზმმა ვერ შესძლო წინააღმდეგობა. მცხოვრებლები სულ გაჟლიტეს.

**სოფია.** ბულგარეთის წარმომადგენელნი, რომელნიც ნიშში მიდიოდნენ, სერბიელებმა დაიჭირეს საზღვარზე, რადგანაც ბრძანებას ვერ მოესწრო; სამი საათის შემდეგ წარმომადგენელნი გაუშვეს.

**ბუქარესტი.** რუმინიის ჯარმა დაიკავა ორხანი საიდანაც სოფელში პირდაპირი გზა მიდის. რუმინიის ჯარი მიუახლოვდა სერბიელების ჯარს,

**ლონდონი.** ბირმინჰამში ასკვიტმა სიტყვა წარმოსთქვა ბალკანეთის შესახებ და სხვათა შორის სთქვა: თუ ოსმალეთს ასეთი ცუდი მრჩეველნი ჰყავს, რომ ხელშეკრულებას არ უწევს ანგარიშს, უნდა მოემზადოს იმისათვის, რომ აღიძვრება ისეთი საკითხები, რომელნიც ყოველ შემთხვევაში ოსმალეთის ინტერესებს არ შეადგენს.

# დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

**8 ივლისი.**

**უცხოეთი**

**კარლსბადი.** გაიხსნა ქვახახშირის მაღაროების მთხრელთა კონგრესი.

**რომი.** შვეიცარიის გვარდიაში, რომელიც ვატიკანთან იმყოფება აჯანყება მოხდა. აჯანყება გამოიწვია კომენდანტის ახალმა განკარგულებამ, რომლითაც სასტიკი სამხედრო დისციპლინა შეიტანეს გვარდიაში და სარაზმო მოქმედების სწავლება შემოიღეს. სტატს-სეკრეტარმა მერი-დელ-ვალმა მოახსენა პაპს აჯანყების შესახებ გვარდია მოითხოვს მხედარ გლესონის გაძევებას, სამხედრო წესების გაუქმებას, მხოლოდ სადეკორაციო მნიშვნელობით უნდა არსებობა. არავითარი გადაწყვეტილება არ მიუღიათ ჯერჯერობით. გვარდიელების ნაწილს იარაღი აჰყარეს.

**პორტ-საიდი.** ოსმალეთის მთავრობამ აუწყა ოტომანის სადეცენტრალიზაციო კომიტეტს, რომ მიღებულია ის შეთანხმება, რომელიც მოხდა პარიზის კრების წევრებთა და მთავრობის წარმომადგენლის შორის, შესახებ სირიაში მოსახდენ რეფორმებისა.

**სტამბოლი.** სომეხთა პატრიარქმა სამსახურიდგან გადადგომის ქაღალდი შემოიტანა.

**პეკინი.** იუანშიკაის დეკრეტით ქალაქში გაძლიერებული დაცვის წესები შემოიღეს.

**მუკდენი,** შიდა მონგოლეთის თავადებმა მიჰმართეს პეკინის მთავრობას თხოვნით, რომ მალე გადასწყვიტონ საკითხი ხალხას შესახებ. მასთან აღნიშნავენ, საკითხის გამოურკვევლობა შიდა მონგოლეთის განცალკევებას გვიქადის, თავადები აფრთხილებენ, თუ უარყოფით მოექცით შუამდგომლობას, მაშინ ჩვენ ვიტოვებთ უფლებას ვიმოქმედოთ ისე, როგორც საჭიროდ დავინახავთ.

**მექსიკა.** იაპონიამ აგრძნობინა მექსიკის მთავრობას, რომ იგი არ მოიწონებს დემონსტრაციას იაპონიის ელჩის მოსვლის გამო მოხდენილს, და ამ მოქმედებას შეუძლიან მიიღოს შეერთებულ შტატებისათვის მტრული ხასიათი.

**ვენა.** გალიციაში მეფის მოადგილემ შუამდგომლობა აღძრა დაეხმარონ გალიციის მცხოვრებთ, რომელიც წყალ-დიდობამ დააზარალ. ზარალი 30 მილიონს უდრის. 500 მცხოვრეპელი წყალმა წაიღო.

**სექსტონი** (მისისიპის შტატი) მოკლეში ტუსაღების ფერმას ცეცხლი გაუჩდა. დაიღუპა 25 ნეგრი—ტუსაღი.

**ლონდონი.** რეიტერის ცნობით ქალაქემა ფუჯოუმ და ფუკიენმა თავი დამოუკიდებლად გამოაცხადეს.

პანკჰერსტი კვლავ დაიჭირეს, როდესაც იგი ადიოდა სათეატრო პავილიონში, სადაც სუფრაჟისტკების მიტინგი იყო გამართული. რამოდენიმე ქალს უნდოდა გაენთავისუფლებინა პანკჰერსტი, მაგრამ ისინიც დაიჭირეს.

**რუსეთი**

**პეტერბურგი.** შინაგან საქმეთა სამინისტრომ ვაჭრობის სამინისტროსთან შეთანხმებით გაუგზავნა გუბერნატორებსა და ქალაქის უფროსებს დაწვრილებითი ცნობანი, ქარხნებში და სამთო სამრეწველოებში სანიტარო საკითხის შესახებ. მუშათა სიცოცხლის დაცვა აქვს დავალებული ერთის მხრივ შთავარ და საგუბერნიო ქარხანათა საქმეების კრებულებებს მეორე მხრივ საერობო დაწესებულებებს. და ქალაქის თვითმართველობას აღნიშნული ზრუნვა ხორციელდება ზემოაღნიშნული დაწესებულებებისაგან სავალდებულო დადგენილებით. საქარხნო და სამთო-სამრეწველო საქმეთა საკრებულოს სავალდებულო დადგენილებათა სისრულეში მოყვანის საქმეს თვალყურს ადევნებენ მოხელენი საქარხნო ინსპექციისა და საზოგადო პოლიცია, ქალაქის გამგეობათა და საერობო დაწესებულებათა დადგენილებების სისრულეში მოიყვანს თვალს ადევნებენ ცოდნე პირნი აგენტები, გამგეობების წევრნი და ნდობით აღჭურვილნი. სასანიტარო ზედამხედველობის აგენტებს აქვთ უფლება დაუბრკოლებლად შევიდნენ ქარხნებში და სამთო სამრეწველოებში მათი სანიტარული მდგომარეობის გამოსარკვევად.

**პეტერბურგი.** ვოლოგდის გუბერნატორი შრამჩენკო, ავადმყოფობის გამო სამსახურს თავს ანებებს.

მფრინავმა ალეხნოვიჩმა 9 ივლის საკორპუსო ჰაეროდრომზე იფრინა. სიკორსკის მანქანით მფრინავი 3.400 მეტრის სიმაღლეზე აფრინდა. რუსეთში ამ სიმაღლეზე არვინ აფრენილა.

**ეკატერინოსლავი** ნიაღვრის გამო წყალით დაიფარა ქუჩები. წყლის სიმაღლე ნახევარი არშინია. ტრამვაი ვერ მუშაობს.

**ნოვოჩერკასკი.** ხოპერის ოლქში სეტყვამ გააფუჭა 5.000 დესიატინა ყანა.

**სმოლენსკი.** 9 ივლის დიდძალი ხალხის დასწრებით გაგარის კოლოჩევის მამათა მონასტერი იხდის 500 წლის არსებობის დღესასწაულს.

**პეტერბურგი.** დააკავეს გაზეთ „ტრუდოვოი გოლოსის“ მე-20 ნომერი.

**არხანგელსკი.** პენიგიდან იტყობინებიან, რომ ცეცხლი გაუჩნდა სახელმწიფო ტყის ეჭვს ნაჭერს. გვალვისა და ქარის გამო ცეცხლმა საშიშარი ხასიათი მიიღო.

**კორნეშტი** იზმაილის მაზრაში სეტყვამ 2.300 დესიატინა ნათესი გააფუჭა. ზარალი 200.000 მან. არის.

# შემოწირულება

ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობამ მიიღო 43 მან. 80 კაპ., ი. ს. გოგებაშვილის სახელობის თანხის გასაძლიერებლად.

სია შემომწირველთა:

გ. ანთელიძემ 6 მან., ი. გომელაურმა 6 მან., ნ. წუწუნავამ 6 მან., ალ. მითაიშვილმა 4 მ. 20 კ., მღ. გ. ბარათაშვილმა 4 მ. 20 კაპ., ივ. წერეთელმა 4 მან. 20 კ., ნ. კიკალიშვილმა 4 მ. 20 კ., ივ. ბახტაძემ 3 მან., ალ. ჩინჩალაძემ 3 მან. და ივ. ჩიკმაკაძემ 3 მან. სულ 43 მან. 80 კაპ.

საზოგადოების გამგეობა უღრმეს მადლობას მოახსენებს შემომწირველებს.

# წერილი რედ. მიმართ

უმორჩილესად გთხოვთ თქვენს პატივცემულ გაზეთში ადგილი დაუთმოთ შემდეგს:

პირველ მაისს მცხეთა არა ჩვეულებრივ სანახაობით იყო გამხიარულებული. ამ დღეს სვეტიცხოველს ეწვია ერთი ჯგუფი ქალაქის ქართველ ინტელიგენციისა, რომელმაც თამარ მეფის ხსოვნის აღსანიშნავად ტაძრის გალავანში ფოთლებით მორთულ ფანჩატურში სადღესასწაულო ნადიმი გამართა. ამ ნადიმზე მიწვეულნი იყვნენ ადგილობრივი ინტელიგენცია, სამინისტრო და მონასტრის სკოლების მასწავლებელნი, ადგილობრივი ახალგაზდობა, ქალი და კაცი და სხვ. ერთმა სტუმართაგანმა, სახელდობრ გ. ხოშტარიამ, სამინისტრო სკოლის მოსწავლეთა სასარგებლოდ მასწავლებელს ა. წერეთელს გადასცა ერთი თუმანი.

წარსულ ივნისის 21, შემოწირული ფულით მოწყობილი იყო მოსწავლე ბავშვების ექსკურსია მცხეთის მიდამოებში. ორმოცამდი ქალი და ვაჟი ჟრიამულ-ხივილით გაემართა კარსნისკენ, რომელიც მცხეთიდან სამხრეთით, ბაგრატის მთის თავზე მდებარეობს. იქ დავათვალიერეთ სამეტეოროლოგიო სადგური, შემდეგ გავემართენით წმ. ნინოს მონასტრისკენ და ჩაველით არმაზის მონასტერში. აქ ბავშვებს სადილი ჰქონდათ მომზადებული. სადილს შემდეგ დიდად ნასიამოვნები ბავშვები მხიარულნი დაბრუნდნენ შინ, რისთვისაც უღრმეს მადლობას ვუძღვნი ბ. ხოშტარიას.

მცხეთაში მცხოვრებლებმა და მომუშავე ძმებმა მამულაშვილებმა საკუთარ ბაღიდან უფასოდ შემოსწირეს ყვავილები, ვარდები და დეკორატიული მცენარეები ადგილობრივ სამინინისტრო სკოლის ბაღის და ეზოს გასამშვენიერებლად. თვითვე იდეს თავზე მათი დარგვა-ხარება აგრეთვე სრულიად უსასყიდლოდ. ასეთ შემოწირულებისა და ღვაწლისთვის სკოლის გამგე და მასწავლებელნი უღრმეს მადლობას უცხადებენ ბ.ბ. მამულაშვილებს და იმედი აქვთ, კვლავ არ მოაკლებენ თავიანთ მზრუნველობას ამ სკოლას.

სკოლის გამგე **ს. იორდანიშვილი,** მასწავლებელი **ა. წერეთელი,** მასწავლებ.—ქალი **ა. მასლოვისა.**

ბ ნო რედაქტორო! ამასთანავე გაახლებთ ხუთ მანეთს ჩვენი ძვირფასი მგოსნის **იროდიონ ევდოშვილის გადასაცემად.** ეს ძალიან მცირე წვლილია, მაგრამ ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ ყველა მცირეოდენადაც არის შეგნებული პირნი —საქართველოს ყოველ კუთხიდგან შემოიტანენ თავიანთ წვლილს და ამ საერთო ღონით (ფულით თანაგრძნობით, ექიმობით და სხვა) მივეშველებით ავადმყოფ მგოსანს.

პატივისცემით **სოსიკო მერკვილაძე.**

**რედაქტორ-გამომცემელი ა. ჭუმბაძე.**


# მატარებელთა მიმოსვლა

(ზაფხულობით)

18 აპრილიდან

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

**ტფილისიდან გადის.**

**ბაქოსაკენ:** № 6, **ჩქარი** პლაცკ. დილ. 10 ს. 16 წ., № 12, **სამგზ.-საბარგო** ნაშუადღ. 3 ს. 35 წ., № 4, **საფოსტო** სადღ. 10 ს. 16 წ., № 8, **სამგზავ.** სად. 6 ს. 29 წ., № 106, **ნარევი** მეოთხე კლასის ვაგონით, ტვირთის გადმზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 4 ს. 23 წ.

**ბათომისაკენ:** № 3, **საფ.** დილ. 9 ს. 51 წ., № 11, დილ. 11 ს. 28 წ., (ივლის პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 7, **საჩქარო** პლაცკ. ნაშ. 4 ს. 40 წ., № 9, **სამგზ.** ღამის 10 ს. 30 წ., № 107, **ნარევ.** მეოთხე კლას. ვაგონებით, ტვირთ. გადასაზ. სამგზ. მატ. სისწრაფით ღამ. 2 ს. 48 წ.

**ბორჯომისაკენ:** № 17, **საბ.** დილ. 8 ს 2 წ. (15 მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 19, **სამგზავრ.** ნაშუადღ. 3 ს. 16 წ.

**მცხეთამდე:** № 65, **საბარგო** დილ. 8 ს. 46 წ., № 67, **საგ.** ნაშუადღ. 2 ს. 43 წ.

ეს მატარებლები ივლიან პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე კვირა-უქმე დღეობით. მატარებელი № 67, უქმის წინა დღეებშიაც. ტფილისში უკანვე დაბრუნდებიან № 65 შუადღ. 12 ს. 5 წ. და № 67 სად. 8 ს. 28 წ.

**ჯულფისკენ:** საფ. № 4;3, შუადღ. 12 ს. 51 წ.

**ყარსისკენ:** საბ. № 14/13, ღამ. 12 ს. 46 წ.

**ერევანისკენ:** № 24;23, **საბარგ.-სამგზ.** სად, 8 ს. 8 წ. მეორე და მესამე კლას. ვაგონებით.

**ტფილისში მოდის:**

**ბაქოდან:** № 3, საფ. დილის 9 ს. 1 წ., № 21, **საბარ.-სამგზ.** დილ. 10 ს. 28 წ., № 7, **სამგ.** მოსკოვი-კოზლოვი-რიაზანი-როსტოვი, ნაშუადღ. 3 ს. 53 წ., № 5, **საჩქარო**— პეტერბურგი-მოსკოვი-კურსკი-ხარკოვი, სად. 9 ს. 35 წ., № 106, **ნარევ.,** მეოთხე კლ. ვაგონებით, ტვირთის გადმზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 2 ს. 12 წ.

**ბათომიდან:** № 10, **სამგზ.** დილ. 8 ს. 40 წ. № 12, **სამგ.** შუადღ. 2 ს. 29 წ. (პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 8, **სამგზ.** სად. 5 ს. 54 წ., № 4, **საფ.** სად. 9 ს. 16 წ., № 106, **ნარევ.** ღამ. 2 ს. 12 წ.

# ქალაქის საავადმყოფოები

**მთავარი**—მუხრანის ქუჩა, 9.

**ავლაბრისა**—კახეთის ქ. № 15.

**ხარფუხისა**—ვორონცოვის ქ. 55.

**კუკიისა**—ჩერქეზიშვილისა, 1—18.

**დიდუბისა**—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

# ექიმ ნავასარდიანის

# პირველი კერძო სამკურნალო

(დაარსებულია 1880 წელს)

ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.

**ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.**

**დ ი ლ ი თ:**

**„606“ და „914“**

**11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტატიურად.**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ბ. გ. ავახართვი:** 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

**კ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საზებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინაგანი, საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **თ. ვ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საზებიო და ქალების ავადმყ.

**კ. დ. გურგენიძე.** 1-2 საათ. შინაგანი, საბავშვო, ყვავილის აცრა, სისხლის და შარდის ბაქტერეოლოგ. გამოკვლევა. საღამოობით 6—7 საათამდე.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**მ. გ. ავეტისიანცი:** 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინისდოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.** 1004

# სასანიტარო ექიმები

**უბნები:** 1, 2—9 **პ. ფომინა-თხიპთვისა** (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. ტელ. 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

10, 11—12 **გ. ა. მირაქოვი** (მიხეილის-ქ., 174 ტელ. 327).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტის შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან, და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებას

# 1-ლი საპოლიტექნიკო კურსები

**პ ი რ ვ ე ლ ი ტ ე ხ ნ ი კ უ მ ი**

6 წელიწადია არსებობს. — იმპერატორის სამეცნიერო 9

მიიღება თხოვნები შემოდგომის სემესტრისათვის. შესვლა შეიძლება: საარქიტექტორო, გზათა საინჟინრო, საელექტროტეხნიკო, სამექანიკო და სამიწათ-მოქმედო განყოფილებებზე. მიიღებენ ყველას, ვისაც დაბალი სასწავლებელი გ უთავებია, სქესის განურჩევლად. გასული წლის განმავლობაში მოწაფეთა რიცხვმა საკმაოდ იმატა, 1000-დე კაცი სწავლობდა. საუკეთესო მასწავლებელნი. ვერცხლის დიდი მედალი, კურსების სამოსწავლო სახელმძღვანელოების კარგად მოწყობისათვის

**ყველა კურს-დამთავრებული, 400 კაცი, კარგად მოეწყო სხვა და სხვა დაწესებულებაში და კარგ ჯამაგირსაც იღებენ**

ყველა, ვინც სამიწათ-მზომელო განყოფილებას ათავებს, ინიშნება სამიწათ-მზომელო უწყებისაგან მ წის მზომელთა თანაშემწედ მიწ ს მომწყობ კომისიებში. წელიწადში 600 მან. ეიშნება ჯამაგირად, გარდა სხვა შემოსავლისა, პროექტი იგზავნება 5 ორ-კაპეკიან მარკით. კურსებთან არსებობს **შოფერთა სკოლა.** (პროექტი უფასოდ.

С.-Петербургъ, Б. РУЖЕЙНАЯ 6.

Метцль 88470 1352

# მუდამ დღე მოგვდის

ახალ-ახალი

მტკვრისა თართი, ზუთხი, ლოქო, და სუდაკი.

**ახალი მსხვილ-მარცვლოვანი ხიზილალა** ქვიტკა

აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში **მარტის დოში, იანი, ჭიპა, ზურგიელები,** სხვა ყოველ-ნაირი **თ ე ვ ზ ე უ ლ ო ბ ა** და

**კონსერვები.**

**თევზის მრეწველნი ძმ. ძეგველოვები.**

**პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.**

**ტელეფონი № 712.**

# ექიმი

ქბილისა

**ნინო რცხილაძე**

იღებს დილით 9—2 ს. სად. 5—7 ს., ოლღას ქუჩის შესახვევი № 5, სახ მაქარაშვილისა.

# ვკისრულობთ:

**თარგმნას** სიტყვა-კაზმულისა და სხვა დარგის ნაწარმოებისას და აგრეთვე ყოველგვარ საბუთის ქაღალდებისას.

**კორექტურას** ქართულად გამოსაცემ წიგნებისას.

**შესწორებას** დასაბეჭდად განზრახულ ხელნაწერებისას.

**გამოცემას** წიგნებისას ავტორთა ხარჯით.

პირობებზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე პირადად ამ მისამართით: **ტფილის,** მუხრანის ქუჩა, „შრომის“ სტამბის გვერდით, სახლი № 12. ნაშუადღევის 2 საათიდან 7 საათამდე. ხოლო დილის 9—1 საათამდე ბინაზე: ვაკე, ქართულ გიმნაზიის პირდაპირ, სახლი გაჟონიასი. ტელეფ. 9-25.

**ბაბილინა და ნ. (ნარ-კანი) კურდღელაშვილები.**

**ს უ რ ა მ შ ი** ამ თვის 15 დან

# ო. თ. კვიჟინაძის

თაოსნობით

# იხსნება თვიური კურსები

როგორც ჭრა-კერვისა, ისე სხვა-და-სხვა ხელსაქმისა. მ ურველნი მიიღებიან სრულ პანსიონზე ხელმისაწვდომ ფასად. მიიღებიან როგორც გასათხოვარი, ისე გათხოვილნიც. მსურველთ მიეცემათ ატესტატიც. მისამართი: სურამი, აგარაკი მღ. კვიჟინაძისა. 4 5

# ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 საათ. კვირ. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ., № 3, სახ. გაბაშვილისა.

# ექიმი ა. შ. მიძელაძე

15 ივნისიდან მიიღებს **შინაგან და ბავშვთა** სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ. საათიდან 7 საათამდე ახალ ბინაზე—მიხაილოვის პროსპექტი № 117. ტელეფონი 816.




კან სა, ძეცისა და ნა იცხის წინააღმდეგ. კანის ქრონიკულ ავადმყოფისთვის. თმის მოსავლელად, ქერტლის წინააღმდეგ.

ნამდვილი № 4711, კუპრის საპონი. მოყვითალო კოლოფში გაკეთებული მხოლოდ კანონით დამტკიცებულ № 4711 ერთად-ერთი მექარხნე გერდ.

იყიდება ყველგან. მიულგენსი კელნი—რიგა.

1842 8. 289597.

**გამოსულია და იყიდება**

# ი. გედევანიშვილის პიესა

# „მ ა მ ც ე მ ი“

დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

# მიტროფანე ლაღიძის და ამხ.

ფრიად სასიამოვნო ლობისათვის მარგებ სი და სურნელების სამკურნალო



სასმელი და ჯანმრთელი საამური გემოხილეული, და მინერალური

# წ ყ ა ლ ი

მზადდება საუკეთესო ხილეულის წვენისაგან, წმინდა შაქრით, ქიმიურად განწმენდილ მასალებისაგან, გამოხდილ და ნადუღი წყალით **გამოცდილ სპეციალისტის ხელმძღვანელობით.**

რადგანაც ჩვენი ქარხნის წყალის ნაცვლად ხშირად **დაბალ ღირსების წყალს აწვდიან** პატივცემულ საზოგადოებას და აგრეთვე გავრცელებულია ჩვენი ეტიკეტის მიმსგავსებანი, უმორჩილესად ვთხოვთ პატივცემულ საზოგადოებას, **ყურადღება მიაქციოს ბოთლებზე ჩვენს ეტიკეტს ქარხნის ნიშნით და აგრეთვე თავსაცობს ზედ-წარწერით:**

**„М. ЛАГИДЗЕ“.**

**ქარხნები:** **ტფილისში, გოლოვ. პროსპ., № 6, ტელეფონი № 411; ქუთაისში, პუშკინის ქუჩა, № 5, ტელეფონი № 151.** 1214


ტფილისი, მუხრანის ქუჩა, სტამბა „შრომა“.